სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 6 მარტი 2006 №49 (2671) ფასი 50 თეთრი

ბრაზილია ყვირის

ამბროზიოს ჰეთ თრიქის გარდა სხვა რამაც ყვირის!

გუნარ დოლიდაშვილის ფოტო

ექიმ დალტონს ზოგი მატჩი რომ ენახა, ქართველ მსაჯს მართვის მოწმობას ჩამოართმევდა

ბაბრი კეთილაძის ფოტო

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ტური იყო: მომგებმა მოიგო, წამგებმა წააგო, მაგრამ არაჩვეულებრივი როგორ არ დავარქვათ, როცა ოთხი ბრაზილიური გოლი გავიდა.

დიდი სენსაციის სუნი ტრიალებდა „ოლიმპზე“: აუტსაიდერი „თბილისი“ 2:0 უგებდა „დინამოს“, მაგრამ გამოვიდა ამბროზიო და 25-წუთიან მონაკვეთში, მტერს და ავს, ამბები დაატრიალა — ჰეთ თრიქი გამოაცხო.

კიდევ ერთი ბრაზილიური გოლი ზღვისპირეთში გავიდა, სადაც ტიაგომ ულამაზესი დარტყმით ერთი აგური დაადო „სპარტაკის“ განადგურებას...

მოიგეს „ვიტ ჯორჯიამ“ და „სიონმა“, ანუ ზედა სამეულში ვითარება უცვლელი დარჩა, ტურის მთავარ მატჩში კი „ზესტაფონმა“ გვიანი გოლით გატეხა მომხდური „ამერი“, არადა, თბილისელებს გვარიანი პრეტენზია აქვთ არბიტრ ლევან კვარაცხელიასთან, რომელმაც აშკარად წითელზე გაიარა და საჯარიმოს გარეთ ხელით მოთამაშე მასპინძელთა მეკარეს ყვითელი აკმარა.

ორი ბრაზილიელი „დინამოში“, ერთი „ბათუმში“, ორი არგენტინელი „ბორჯომში“, ერთი უკრაინელი „სიონში“... ექვს ლეგიონერს საქართველოს ჩემპიონატის ერთ ტურში, სულ მცირე, ათი წელია, არ უთამაშია.

და ერთიც: იღბლიანად დაბრუნდა რევაზ ძოძუაშვილი — გახსოვთ, ბოლოს როდის მოიგო ქუთაისის „ტორპედომ“ სტუმრად?

ასანიძე ძაან ხალხშია

ანტონიო ტარვერი: საქართველო ათლეტების ქვეყანაა

ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე ამერიკაშია კალიფორნიის გუბერნატორის, უცნობილესი არნოლდ შვარცნეგერის მიწვევით. ჰოლივუდის, კულტურიზმისა და პოლიტიკის ვარსკვლავი ყოველწლიურად აწყობს მსოფლიოს უძლიერეს ათლეტთა შეკრებას, რომელსაც „არნოლდის ფესტივალი“ ეწოდება — პლანეტის უძლიერესი მამაკაცები ახალბედა ათლეტებს სემინარებს უწყობენ. გუშინ გვიან ღამით გიორგი ასანიძეს ოჰაიოში დავუკავშირდით, როდესაც შვარცნეგერის საღამოზე გახლდათ...

— ამ დილით შევხვდით შვარცნეგერს, ძალიან გულღია და კეთილი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მანამდე საჩვენებელი გამოსვლებიც მოვასწარით და ახალგაზრდებისთვის სემინარის ჩატარებაც. აქ ყოფნით უბედნიერესი ადამიანი ვარ, რაც მთავარია, უცნობილეს ათლეტებთან ურთიერთობა გავაბი, რაც არა მარტო ჩვენს ძალოსნებს, მოჭიდავეებსა და ძიუდოისტებსაც გამოადგებათ.

ასანიძესთან საუბრისას იქვე იმყოფებოდა ერთ-ერთი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ანტონიო ტარვერი:

„გიორგი ასანიძე უკვე გავიცანი და გავიგე, რომ ოლიმპიური ჩემპიონია. მისი გაცნობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, აქამდე საქართველოზე არაფერი ვიცოდი. ახლა კი თქვენს ქვეყანაზე შემიძლია ვთქვა, რომ ათლეტი კაცების სამშობლოა. მე კი შეფასება არ მეშლება. გარდა იმისა, რომ პროფესიონალი მოკრივე ვარ, „როკის“ ბოლო ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლიც ვითამაშე. ახლა „ოსკარის“ დაჯილდოების სანახავად მივდივარ. ყველაფერს კარგს გისურვებთ.“

არნოლდ შვარცნეგერის გუშინდელ საღამოზე მსოფლიოს 20 გამოჩენილი ათლეტი იყო მიწვეული და მათ შორის გიორგი ასანიძეც.



ბაჩო სვანიძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 17 ტური

საფეხბურთო ტრილერი
მთავარ როლში ამბროზიო

მარცხენა: ალექსანდრე ბერიძის ფოტო

მიხეილ ბობოხიძის (მარჯვნივ) „დინამო“ მეორე ტაიმში გამოიფხიზლა

თბილისი. 4 მარტი. 15 საათი. ორიგინალი. 1 000 (ტევადობა 3 000)

თბილისი 2:3 დინამო

1:0 ვ. კვარაცხელია (2), 2:0 ბერიძე (28), 2:1, 2:2, 2:3 ამბროზიო (60, 71, 85)

თბილისი	დინამო
თევდორაძე, რევაზ ბარამაძე, დარახელია, ნ. კვასხვაძე (ლ. კვარაცხელია 65), მიქიაშვილი, გუშარაშვილი, ვ. კვარაცხელია, როსტომაშვილი, ჟორიტე, ბოქოიძე (ი. ფლეტი), ბერიძე	გრიშიკაშვილი, უ. ლობანიძე (ს. იაშვილი 62), გიგაური, ორბელიძე, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიეირა, დვალი (ვ. მასარაძე 35), ბობოხიძე, ლ. მელქაძე (ამბროზიო 54), გ. მერებაშვილი
სათადარიგო: მ. ალავიძე, ხინინიშვილი, მ. ბარამაძე, მიმინოშვილი, ხამსიანი	სათადარიგო: სტურუა; შაშიაშვილი, აკობია, ა. კალაძე
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი	მწვრთნელი: ანდრეი ჩერნიშოვი

გაფრთხილება: ფლეტი (67), ნავალოვსკი (70), ფლეტი (75)

გაძევება: ფლეტი (75)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ურუშაძე, ა. გუნთაძე, ლ. ხილაგავა

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

გაფრთ. ალექსანდრეს ფოტო

მუსიე გაბონი
ალენ ჟირესი აფრიკაში წავიდა

საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ალენ ჟირესმა გაბონის ნაკრები ჩაიბარა. ჟირესი შარშანდელი ივლისის შერე თავისუფალი იყო და, როგორც ვაი გურულმა გვითხრა, ხშირად მისდიოდა წინადადებები აფრიკული ქვეყნებიდან.

გაბონელთა მთავარი მწვრთნელი ბრაზილიელი ჟაირზინიო გახლდათ, რომელიც ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს. საინტერესოა, რა მიზანი დაუსახეს ბატონ ჟირესს — ალბათ, 2010 წლის მუნდიალზე გასვლა. გაბონი ფიფას რეიტინგში 108-ე ადგილზეა, აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზეც კი იშვიათად ვადის და, თქმა არ უნდა, ჟირესს რთული საშუშაო ელის.

ილია ნანობაშვილი

მარცხენა: ალექსანდრე ბერიძის ფოტო

ბრაზილიელ ამბროზიოს (შუაში) თანაგუნდელებმა სამჯერ მიულოცეს

დავით თავართქილაძე

გულდათუთქვა, კრიზული გოლები, ახალგაზრდული ენთუზიაზმი, მსაჯის შეცდომა, ორი ძალიან განსხვავებული ტაიმი და ამბროზიო.

ნამატჩევს ყველაფერ ამას დინამოელთა რუსმა დამრიგებელმა ანდრეი ჩერნიშოვმა საფეხბურთო ტრილერი დაარქვა.

ტრილერი გიორგი დევდარიანის გუნდმა დაიწყო, რომელმაც პირველ ტაიმში თბილისის „დინამო“ გაბაფხულის თოვლივით გააქრო. ეს არის „დინამო“? კითხულობდა „ოლიმპზე“ მისული მაყურებელი და მხოლოდ პირველტაიმური ანგარიშს როდი გულისხმობდა — „დინამოს“ თითქმის არაფერი გამოსდიოდა, ვერც ბურთს აგორებდა და ორთაბრძოლებშიც მოისუსტებდა.

ფიზიკურად ხელრიანად ვერშომზადებული, მეტწილად ჭაბუკებით დაკომპლექტებული „თბილისი“ რაციონალურად თამაშობდა, ჯანს ზოგავდა და ტაქტიკურად გამართულად მოქმედებდა.

–გიორგი ბერიძემ მარჯვნიდან ჩაჭიდა „დინამოს“ საჯარიმო მოედნის მისადგომთან, გაგა ბოჭოიძემ თავით დაუგდო ბურთი ვახტანგ კვარაცხელიას, რომელმაც კარგად ისარგებლა მცველთა უნიათობით და სოსო გრიშიკაშვილს 6-7 მეტრიდან გაუტანა დაბალი დარტყმით.

„დინამოს“ პასუხი არ ჩანდა, „თბილისი“ კვლავაც მასზე მობილურად გამოიყურებოდა, თუმც ერთი სახიფათო იერიში „დინამომ“ მაინც გაჩარხა — გიორგი მერებაშვილმა ლევან მელქაძეს დაუგორა, მაგრამ წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის და ბომბარდირის მარცხენა მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი რევაზ თევდორაძემ კუთხურზე მოიგერია.

„თბილისი“ კი მეორე გოლამდე ერთხელაც დაემუქრა მეტოქეს — ბერიძის ფლანგური ჯარიმა გრიშიკაშვილმა კუთხურზე გადაადგო.

მეორე ცდაზე ბერიძემ დაახლოებით 35 მეტრიდან დაარტყა ჯარიმა, ბურთი გაძვრა „თბილისის“ შემტევებსა და „დინამოს“ მცველებში, რამაც ალბათ კონცენტრაცია დააკარგვინა გრიშიკაშვილს და ბურთი მასაც გაუძვრა — 2:0.

პირველმა ტაიმმა „თბილისი“ დაწრიტა, შესვენების შემდეგ ფეხბურთელები თითქოს ფეხზე ვერ იდგნენ და თხუთმეტ წუთზე მეტს ველარ გაუძალიანდნენ „დინამოს“.

ჩერნიშოვმა მარცხენა გარემარბ მელქაძის ნაცვლად ბრაზილიელი ამბროზიო შეუშვა მოედანზე, ვინც მარჯვენა ფლანგზე გააშწესა, ხოლო მელქაძის ფლანგი ამბროზიოს თანამემამულე ვიეირამ ჩაიბარა.

ამბროზიოს პირველი გოლი: გიორგი ნავალოვსკიმ მარცხენა ფლანგიდან მოხდენილად ჩააწოდა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ბრაზილიელმა თავურით იხეირა.

ჩერნიშოვმა ამის შემდეგ უკვე სანდრო იაშვილიც ჩართო საქმეში და შეგირდებს წამდაუწუმ გასძახოდა, იაშვილს მაღალი ბურთები ჩაუწოდეთო. იაშვილმაც რამდენჯერმე მოიგო საჰაერო ორთაბრძოლა, ერთხელ ანგარიშის გათანაბრებაც მართებდა, როცა ამბროზიოს ნაკუთხურალ ბურთს ლაზათიანი თავური მიაყოლა, მაგრამ თევდორაძე სასწაულად გაიწვართა და ურთულესი ბურთი მოიგერია.

„დინამოს“ ზეწოლა გაძლიერდა, უკვე ძალიან აშკარად გამოჩნდა, რომ „თბილისი“ იფიტებოდა, ქანცი ეცლებოდა, მაგრამ მაინც იბრძოდა.

ამბროზიო კი ჯეჯილობდა, ტექნიკასაც გვიჩვენებდა და იმასაც, რომ ალღიანი ფეხბურთელიცაა, საჭირო აღგილას და საჭირო დროს ჩნდებოდა ხოლმე. ამბროზიო გამჭოლი პასით თევდორაძესთან პირისპირ აღმოჩნდა, ოსტატურად გადაავლო მას ბურთი და 2:2.

ცოტაც და, „თბილისი“ კაცსაკლელი დარჩა — ირაკლი ფლეტი ორი გაფრთხილების გამო გააძევა გიორგი ვადაჭკორიამ, თუმც ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ თამაშის წესი ფლეტმა კი არა, მისმა თანაგუნდელმა დაარღვია.

„დინამოსთვის“ ფრეც არახელსაყრელი იყო, რამეთუ „ვიტ ჯორჯიასთან“ და „სიონთან“ ჩამორჩენა გაეზრდებოდა.

–ამბროზიოს იაშვილმა გადააწოდა ბურთი თავით, ბრაზილიელი „თბილისის“ საჯარიმო მოედნის კუთხესთან აღმოჩნდა, დაბალი ბურთი არცთუ ძლიერად დაარტყა, თევდორაძემ კი ასაღები ვერ აიღო — ასეთი გამოდგა ტრილერის ბოლო...

პრესკონფერენცია

ანდრეი ჩერნიშოვი: წინა ტურის „თბილის“ — „ზესტაფონს“ ვუყურე და ჩემი ფეხბურთელები გავაფრთხილე, ძნელი მატჩი გველისმეთქი. პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა. მიკვირს, „თბილისი“ ბოლო ადგილზე რომ არის. ამბროზიო მართლაც ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში, მას ტრავმა ჰქონდა და ამიტომაც არ დავაყენეთ სასტარტოში. კარგი თამაში გამოვიდა, ასეთი საფეხბურთო ტრილერები მაყურებელს ძალიან მოსწონს.

გიორგი დევდარიანი: პირველ ტაიმს ყველასთან ტოლსწორად ვთამაშობთ, მაგრამ მერე ენერგია არ გვყოფნის, რაც არასრულფასოვანი მომზადების ბრალია. ენერგია თავისით არ მოდის, ამისთვის ფეხბურთელს სათანადო პირობები უნდა ჰქონდეს, რაც „თბილისში“ არ არის. ერთხელაც დაველაპარაკები კლუბის ხელმძღვანელებს, ასეთ პირობებში ვეღარ ვიმუშავებ. „თბილისში“ დღეს 1988 წელს დაბადებულმა რვა ფეხბურთელმა ითამაშა, ამ ახალგაზრდებს პატრონობა და პირობები სჭირდებათ.

XX ტური

5 მარტი, კვირა

ზუგდიდი	3:1	მაღაროელი
მესხეთი	0:2	ჩიხურა
თბილისი 2	0:1	მერანი
საგარეჯო	2:2	რუსთავი
ზესტაფონი 2	0:0	ამერი 2
მეშაქრე	1:0	მეშახტე
ლიახვი	1:0	იმედი
დინამო 2	3:1	გურია
ვიტ ჯორჯია 2	0:1	გაგრა

ჩიხურა	20	15	3	2	58:21	48
მერანი	20	13	3	4	30:13	42
გაგრა	20	12	5	3	28:14	41
დინამო 2	20	11	5	4	34:12	38
ამერი 2	20	11	4	5	28:14	37
მეშაქრე	20	10	3	7	30:19	33
რუსთავი	20	8	7	5	30:21	31
გურია	20	8	4	8	30:25	28
მესხეთი	19	8	4	7	24:22	28
ზუგდიდი	20	7	5	8	12:18	26
მეშახტე	19	6	7	6	19:14	25
ვიტ ჯორჯია 2	20	6	5	9	16:22	23
საგარეჯო	20	6	4	10	19:24	22
თბილისი 2	20	5	5	10	20:31	20
ზესტაფონი 2	20	5	3	12	15:34	18
იმედი	20	5	1	14	14:39	16
მაღაროელი	20	3	4	13	15:44	13
ლიახვი	20	4	0	15	16:52	12

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ბენეფალური საინფორმაციო

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — **მეორე წრე** — **17 ტური**

ფოტოდოკუმენტი: ია ფარეულავა

თავში გასაჭანი თავით გავიდა

კვარაცხელიას ყვითლებთან წითელი შეეშალა

ზესტაფონი. 4 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 7 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 1:0 ამერი

1:0 ღონღაძე (83)

ზესტაფონი	ამერი
ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ძამსაშვილი (ნუდნი 46), ს. თოდუა, შ. ღონღაძე, კ. ჩხეტიანი (იმედაძე 71), გ. თურმანიძე, განუგრავა, ბ. ნოზაძე (ბენაშვილი 54), ფიფია, გ. ჭელიძე, იონანიძე	ამერი: ლ. ნადირაშვილი, გ. კვახაძე (კედელაშვილი 74), დავითნიძე, ბერიანიძე, ჩიკვილაძე, სილაგავა (ა. კაიდარაშვილი 84), დეკანოსიძე, ბოლქვაძე (დობროვოლსკი 67), დოლიძე, სევასტოპულო, ს. დავითაშვილი
სათადარიგონი: კვასხვაძე; ბეჟალავა, ბ. გოცირიძე, ხიდეშელი	სათადარიგონი: ნაჭყებია; გარუჩავა, წინამძღვრიშვილი, ელბაქიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე	მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: კვახაძე (25), ჭანტურია (28), ნუდნი (56)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი. ბ. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე; **დელეგატი:** გ. ჯიშკარიანი

კობა ინასარიძე ზესტაფონიდან

კარგი მატჩი იყო, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე ძალიან კარგიც... რაც მთავარია, ტემპიანი და ეშხიანი, გამოუყენებელი ნაღდი საგოლე მომენტებით, ჩალურჯებული კოჭებითა და, სამწუხაროდ, მსაჯის უხეში შეცდომითაც...

თანმიმდევრულად მივყვეთ, მით უმეტეს, სათქმელი ბევრი გვაქვს და მატჩიც იმსახურებს ამბების წვრილად მოყოლას...

საწყისი 15 წუთი — აი, რისი ეშინოდათ ყველაზე მეტად „ამერის“ ქომაგებს. სნერვიულო კი მათაც და, რაღა თქმა უნდა, ამერელ ფეხბურთელებსაც, დასაწყისში მართლაც ბევრი ჰქონდათ. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ზესტაფონის“ მწვრთნელმა თქვა კიდეც, სწრაფი გოლის გატანა გვინდოდა, გვსურდა, მეტოქე მალევე გაგვეტეხაო. „ზესტაფონმა“ სურვილი და მწვრთნელის დავალება საქმეშიც გამოაჩინა, მაგრამ სტუმრებსაც ეტყობოდათ, რომ მასპინძლთა შტურმი მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ამ 15 წუთში თამაში მართლაც „ამერის“ ნახევარზე მიმდინარეობდა, ბურთი „ზესტაფონს“ ჰქონდა და რეალური საგოლე მომენტიც რამდენიმე შექმნა. პირველი კი გიორგი განუგრავას დარტყმული და რიკოშეტი იყო — თბილისელთა დაცვა და მეკარე უსაქმოდ დარჩნენ, თუმცა, მათ ბედად, ბურთი კარს ასცდა. სამი-ოთხი წუთის შემდეგ ზურაბ იონანიძე ცდილობდა გატანას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე განუგრავამ ისევ იმ პოზიციიდან, ანუ საჯარიმოს რკალიდან დაარტყა და „ამერი“ ისევ გადარჩა — ბურთი ძელმა აისხლიტა, გადმოვარდნილს ბექა ნოზაძემ დაამატა, რასაც საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. ამ არეულობაში კი სტუმართა მეკარე ლადო ნადირაშვილმა იყოჩაღა და... შტურმმაც გადაიარა, „ზესტაფონი“ მოეშვა, ხოლო „ამერმა“ ტემპს უმატა და უკვე მასპინძლებს შეექმნათ დიდი პრობლემები...

ჯერ „ამერის“ რამდენიმე მსუბუქი კონტრშეტევა იყო, რაც „ზესტაფონელთა“ მომენტებს შორის ვნახეთ, სადღაც მე-20 წუთიდან კი სტუმრებმა საქმეს ხელი საფუძვლიანად მოჰკიდეს. პირველი სანერვიულო მასპინძელთა დაცვას გიორგი სილაგავას დიაგონალურმა პასმა გაუჩინა — გრიგოლ დოლიძემაც აღარ დააყოვნა და დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ.

რამდენიმე წუთში კი უკვე მსაჯი ლევან კვარაცხელია ანერვიულდა და აშკარად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, მას წითელ-ყვითელი ბარათების ფერი თუ აერია, თორემ ისეთი ეპიზოდი, როგორიც ვნახეთ, ჩვეულებრივ, ფეხბურთელის გაძევებით მთავრდება ხოლმე. მცველმა ბურთი უკან, მეკარე გრიგოლ ჭანტურიას დაუგორა, რომელსაც მოგერიება დაუგვიანდა და არც „ყვითლების“ ფორვარდმა სულიკო დავითაშვილმა მოასვენა. მეკარე და ფორვარდი ბურთისთვის საჯარიმო მოედნის გარეთ, ერთ მეტრში იბრძოდნენ. მოგებული დავითაშვილი დარჩა და მოიგდო თუ არა ბურთი, ცარიელ კარს გახედა და დაარტყა, ჭანტურიამ კი ისე ითამაშა, როგორც კარის ხაზზე — ბურთი ნახტომში ხელებით მოიგერია. თქმა არ უნდა, ბოლო იმედის ჯარიმა იყო, ლევან კვარაცხელიამ კი გასაძევებელ მეკარეს გაფრთხილება აკმარა და „ამერის“ სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა.

მსაჯის ამ გადაწყვეტილებას თბილისელთა დიდი, მაგრამ უშედეგო პროტესტი მოჰყვა...

ცოტა ხანში „ზესტაფონი“ კიდევ ერთხელ გადარჩა — მასპინძლები ამჯერად ხარიხამ იხსნა, არადა დოლიძე სულ ერთი მეტრიდან, კარამდე ეგებ ამდენიც არ იყო, თავით ურტყამდა.

მოკლედ, მაგარი თამაში გაჩაღდა, „ამერი“ საგოლედ მოიმართა, „ზესტაფონი“ თავს ბოლო ძალებით იცავდა, როცა შესვენების დრომ მოატანა და გუნდებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ.

მოედანზე „ზესტაფონი“ შემადგენლობაშეცვლილი დაბრუნდა. მწვრთნელმა მცველ ზურაბ ძამსაშვილს ნახევარმცველი სერგეი ნუდნი ამჯობინა და მოედნის შუაში დაკარგული უპირატესობის დაბრუნება სცადა. ჩანდა, რომ „ზესტაფონს“ ისევ სწრაფი გოლის დავალება ჰქონდა, თუმცა „ამერი“ მეტოქის შეტევებს უფრო მომზადებული დახვდა. ათ წუთში კი თემურ მახარაძემ მეორე შეცვლაც გააკეთა — მარცხენა ჰაბეკად მოთამაშე ნოზაძის ნაცვლად საქმეში ალექსი ბენაშვილი ჩართო. მან ადგილი საპირისპირო ფლანგზე დაიკავა, ხოლო მარცხნივ გიორგი ჭელიძემ გადაინაცვლა და „ამერს“ პრობლემებიც შეექმნა. ზედიზედ ორჯერ — ჯერ ნუდნიმ, მერე კი გოგი ფიფიამ ჭელიძეს პასები სწორედ ფლანგისკენ, მცველებს შორის გაუკეთეს და ძალიან სახიფათო მომენტებიც გამოვიდა, თუმცა ჭელიძის დარტყმული თუ ჩაწოდებული უზუსტო გამოდგა.

ამასობაში „ამერიც“ ფლანგიდან ცდილობდა ხეირის ნახვას. შეტევებიც მეტწილად მარჯვნიდან დოლიძის სისწრაფეზე იყო გათვლილი, ისიც ბევრს დარბოდა, თუმც ბოლოს ისევ მცველები ყოჩაღობდნენ.

ტაიმის შუაში დოლიძეს კიდევ მიეცა გატანის შანსი და ეს შანსიც მას მეკარე ჭანტურიამ უბოძა. „ზესტაფონის“ მეკარემ დაგორებული ბურთი ამჯერად მოიგერია, თუმცა იქვე, დოლიძისკენ. ამერელმაც ბურთი დასარტყმელად მოირგო და ცარიელ კარს დაუმიზნა. ბურთი მცველს გადაეკლო და ის იყო, გოლი უნდა გვენახა, ჭანტურიამ შეცდომა გამოასწორა — გრძელი ნახტომით გუნდი გადაარჩინა.

...და 83-ე წუთი, „ამერისთვის“ საბედისწერო გოლის აღწერა მარტივად შეიძლება: ფიფიას ჩაწოდებული კუთხური და ტანმაღალი შალვა ღონღაძის თავური, ბურთი შორეულ კუთხეში შევარდა — 1:0.

დარჩენილ დროში „ამერმა“ მატჩის გადარჩენა სცადა, მწვრთნელმა ორ თავდამსხმელს მესამეც მიამატა, მაგრამ გოლამდელი სათამაშო განწყობა „ყვითლებს“ დაკარგული ჰქონდათ...

კარგი მატჩი იყო, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე ძალიან კარგიც...

პრესკონფერენცია

გიორგი ჩიხრაძე: ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. ფლანგებიდან შეტევას ვცდილობდით, იგივეს ცდილობდა მეტოქეც და ეს ჩვენზე უკეთ გააკეთა. ძალიან მძიმე და საინტერესო თამაში კი გამოვიდა.

თემურ მახარაძე: ნამდვილად ღირსეული მეტოქე გვყავდა. აქცენტი სწრაფ გოლზე გვქონდა, მაგრამ გატანა მოგვიანებით მოვახერხეთ. დიდი მადლობა ჩემს ფეხბურთელებს. მათ ბევრი იბრძოლეს და დავალებაც კარგად შეასრულეს. მეკარე ჭანტურიას კი ფეხის ტრავმა აწუხებდა და ამიტომ ჰქონდა შეცდომები. მასზე უკეთესი მეკარე ჯერ არ გვყავს, შეცვლასაც ამიტომ მოვერიდე.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 17 ტური

ტორპედო წინ და ტორპედო უკან

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

მამუკა ღონღაძის (შუაში) გამთანაბრებელი

თბილისი. 4 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 300 (ტევადობა 25 600)

ლოკომოტივი 2:3 ტორპედო

1:0 ალავერდაშვილი (1), 1:1, 1:2 ღონღაძე (6, 28),
1:3 რ. კვერნაძე (55პ), 2:3 ოგბაიძე (71)

ლოკომოტივი: ზ. ჩალაძე, ბახტაძე (გულორდავა, 46), ებრალიძე, ავალიანი, (ყენია, 72), ოგბაიძე, ფურთუხია (კახელიშვილი, 67), მ. ელენტი, პეტროსიანი, ალავერდაშვილი, ჩივაძე, თუთბერიძე
სათადარიგო: ზუბბაია, ყიფიანი, მენაბდე, ხორგუაშვილი
მწვრთნელი: სოსო სირაძე

ტორპედო: მიგინეიშვილი, ლაღაძე, ხურცილავა, რატი ბარაბაძე, კ. შალამბერიძე (კობახიძე 46), სულაბერიძე, ზ. ჩხეტიანი, ა. კვერნაძე, ნ. ნადირაძე (ა. ფოფხაძე, 26), რ. კვერნაძე, მ. ღონღაძე (ბურჯანაძე, 81)
სათადარიგო: უშვერიძე, მდივნიშვილი, დათაშვილი
მწვრთნელი: იური კვერნაძე

გაფრთხილება: თუთბერიძე (58), ლაღაძე (60)

მსაჯები: მ. ბუაძლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია, ლ. ფანიაშვილი

დამკვირვებელი: ს. კუტივაძე

გიორგი ნოზაძე

ჯერ მისალმება არ იყო დამთავრებული, მასპინძლებმა ყიჟინა რომ დასცეს — პირველივე წუთზე გიორგი ალავერდაშვილის რეიდი კუთხურით დასრულდა, იქიდან გათამაშებულ ბურთზე კი იმავ ალავერდაშვილმა თავურით იხეირა.

ამ სეზონში ლიდერთა შორის „ტორპედო“ ნაღდად არ ითვლება, მაგრამ ამგვარი დასაწყისი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა — ქუთათურთა შორის ხომ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც თამაშობდა.

თანაფარდობა უკვე მე-6 წუთზე აღდგა, როცა რევაზ კვერნაძემ დიაგონალური გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა მამუკა ღონღაძე და მანაც არ დააღალატა თანაგუნდელები — 1:1.

კიდევ 20 წუთის შემდეგ კი სტუმრები დაწინაურდნენ — გოლიც საკმაოდ ეფექტური გამოდგა. კობა შალამბერიძემ მარჯვენა ფლანგზე ბახტაძეს აართვა ბურთი და კარის გასწვრივ გამჭოლი გადაცემა გააკეთა, ღონღაძეს კი დუბლის გასაფორმებლად ბურთთან ერთი შეხებაღა დასჭირდა — 1:2.

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

„ტორპედო“ კობა შალამბერიძის (მარჯვნივ) აქტიურობით დაწინაურდა

პირველ ტაიმში სხვა დასამახსოვრებელი არც არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ბოლო წუთზე რევაზ კვერნაძის მიერ ჩაწოდებულს, კარისკენ რომ აიჭრა და „ჯკვარედინმა“ აისხლიტა.

თამაშის ხასიათი დიდად არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ქუთათურები აქტიურობდნენ, თუმცა მესამე გოლის გატანის შემდეგ აშკარად ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი, რაც მათ მიერ გაკეთებული შეცვლებითაც იგრძნობოდა.

გოლი კი „ტორპედომ“ ავთანდილ ფოფხაძის მოცელვისთვის დანიშნული პენალტიდან გაიტანა — რევაზ კვერნაძეს მუხლი არ აჰკანკალებია.

ერთადერთი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, 71-ე წუთზე ოგბაიძის თავურით ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება იყო...

საიდუმლო არავისთვის იყო, რომ ეს შეხვედრა „ტორპედოს“ დამრიგებლის რანგში სადებიუტო უნდა ყოფილიყო რევაზ ძოძუაშვილისთვის. მატჩის ოქმში მთავარ მწვრთნელად იური კვერნაძე კი ჩაიწერა, მაგრამ შემხვედრის მსვლელობისას გუნდს მითითებებს ტრიბუნაზე მჯდომი ძოძუაშვილი აძლევდა. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, საიდან წავა მითითებები - 3:1-ის შემდეგ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გაფაციცებულ „ტორპედოს“ აშკარად ეტყობოდა „მიხიჩას“ ხელი.

ნამატჩევს „ლოკომოტივის“ დამრიგებელმა სოსო სირაძემ აღნიშნა, რომ დაცვის ხაზში პრობლემები სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, შეტევაში კი გუნდს ასე თუ ისე, ნორმალურად აქვს საქმე. ქულათა მარაგი „ლოკომოტივის“ დამრიგებელს საშუალებას აძლევს, მეორე წრის განმავლობაში თამამად მიმართოს ექსპერიმენტებს და აქცენტი არა შედეგზე, არამედ თამაშის ხარისხსა და ფეხბურთელების ზრდაზე გააკეთოს.

ალფონს ფალავანდიშვილის ფოტო

იცხოვრე დღევანდელით, იფიქრე ხვალინდელზე

რევაზ ძოძუაშვილი: ტორპედოლერმა ნოკაუტს გადაგვარჩინა

— რამდენიმე დღეა, ქართული სპორტული მედია „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელად თქვენს დანიშვნაზე წერს, გუშინდელი მატჩის ოქმში კი მთავარ მწვრთნელად მაინც იური კვერნაძე იყო ჩაწერილი...

— გადავწყვიტეთ, შეგვეკრიბა მწვრთნელთა საბჭო ისეთი პიროვნებებისგან, რომლებსაც ქუთაისურ და ქართულ ფეხბურთში სიტყვა ეთქმით. ჩვენს შორის მარტო ჯემალ ხერხაძის ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავს. მთავარ მწვრთნელად მუშაობის საშუალება კი ახალგაზრდა კაცს, იური კვერნაძეს მივეცით.

— რამდენი კაცი შედის მწვრთნელთა საბჭოში და როგორია მისი შემადგენლობა?

— სულ ხუთნი ვართ. ჩემი, ჯემალ ხერხაძის და იური კვერნაძის გარდა მასში გელა კიკალეიშვილი და რევაზ ბურკაძეც შედიან.

— ფიქრობთ, რომ მწვრთნელთა საბჭო ქუთაისის „ტორპედოს“ აღორძინების საწინდარი გახდება?

— სიმართლე გითხრათ, მარტო მთავარი მწვრთნელი ვერაფერს გააკეთებს, ისევე, როგორც მწვრთნელთა საბჭო, თუ შესაბამისი მატერიალური მხარდაჭერა არ იქნა. ჩემი ჩამოყვანის აზრიც ეგაა, რომ კლუბის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შორის დამაკავშირებელი რგოლი ვიყო. იმავე ლატვიასა და რუსეთში საკმაოდ დიდი კავშირები მაქვს, გვინდა, „ჩავეკვეხოთ“ იმ დინებაში, რასაც ევროპული ფეხბურთი ჰქვია. მწვრთნელთა საბჭოც დროის ამბავია, ის ეპოქა წავიდა, როცა გუნდში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტდა.

— „ტორპედოს“ დღევანდელი შემადგენლობით რამდენად რეალურია სერიოზულ მიზნებზე ფიქრი?

— ჩვენი პრინციპი ასეთია — იცხოვრე დღევანდელით და იფიქრე ხვალინდელზე. არც „ლოკომოტივს“ და არც „ტორპედოს“ დღევანდელი მდგომარეობა არ ეკადრებათ, რადგან ეს ქართული ფეხბურთის დაჩაჩანაკებას ნიშნავს. ერთი ხელის მოსმით გუნდის არც გაახალგაზრდავება შეიძლება და არც დაბერება. რომ გვეუბნებოდნენ, თქვენმა თაობამ დალუპა ყველაფერიო, ჩამოვეკალეთ, ბატონო, და აგერ გამოჩნდა, რაც შეძლო ამ თაობამ. ქართული ფეხბურთი იმავე ხალხმა უნდა გადაარჩინოს, ვისაც მისთვის უკვე ბევრი გაუკეთებია როგორც ფეხბურთელს და როგორც მწვრთნელს.

— გუშინდელ თამაშში გამოჩნდა, რომ 3:1-ის შემდეგ „ტორპედომ“ ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო თამაში. ესეც მწვრთნელთა საბჭოს ჩანაფიქრი იყო?

— კარგია, რომ ეს შენიშნეთ. სხვადასხვა შეხვედრაში სხვადასხვა ტაქტიკურ მონახაზს გამოვიყენებთ, ხშირად კი სულაც თამაშისას შევცვლით სქემას. მაგალითად, გუშინ სქემა სამჯერ გადავწყვეთ და რაც მთავარია, ამან შედეგი მოიტანა.

— მწვრთნელთა საბჭო რამდენად პროგრესული ელემენტია?

— გარდა ერთი კლუბის ინტერესებისა, გვინდა, დავანახოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ ეს „ნაბიჯი სწორია. მე და დავით ყიფიანმა თავის დროზე ეს გზა ავირჩიეთ და მწვრთნელთა საბჭოს ხელმძღვანელობა საშა ჩივაძეს დავუთმეთ. შემთხვევითი არ იყო, რომ მაშინ თითქმის ყველა ქართული კლუბიდან მოდიოდნენ ნაკრებში ნიჭიერი ფეხბურთელები. კარგი იქნება, თუ ახლაც შეკრებენ ერთგვარ „მრგვალ მაგიდას“, გერმანელი მწვრთნელების მუშაობას ამით მეტი ეფექტი მიეცემა.

...კლაუს ტოპმიოლერისთვის სანაკრებო სიის სახით პირველი „საგოლე პასი“ არასწორი მიუწედიო, მაგრამ კარგია, რომ მიხვდა ეს კაცი. დაგვანახა, რომ მაღალი დონის სპეციალისტია და ნოკდაუნის შემდეგ მთლად ნოკაუტში არ ჩააგდო საქართველოს ნაკრები. კარგია ისიც, რომ სურვილი გამოიქვა, დავეხმაროთ. ჩვენ ყოველმხრივ მზად ვართ, გვერდში დავუდგეთ ამ ხალხს და კარგი იქნება, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც გაითვალისწინებს ამას.

გიორგი ნოზაძე

საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ლიგა
ეროვნული ლიგა
საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 17 ტური

ტიაგოლი

ქონი ქონია, ბრაზილია — ბრაზილია

ბათუმი. 4 მარტი. 15 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

ბათუმი 5:0 სპარტაკი

1:0 ჯიქია (5), 2:0 მანწკავა (25), 3:0 ტიაგო (60), 4:0 ჯიქია (65), 5:0 დვალიშვილი (70)

ბათუმი: თოთლაძე (სომხიშვილი 77), გ. ონიანი, მახვილაძე, მ. ლომიძე, თ. უგრეხელიძე, გ. მანწკავა (კუნჭულია 74), ექონია (ფარტენაძე 73), ტიაგო, რ. ონიანი, რ. ჯიქია, დვალიშვილი
სათადარიგონი: ცანავა, გოგიშვილი, ნაჭყეპია, დუმბაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, თ. მჭედლიშვილი, ტაბიძე, იმნაიშვილი, კობალაძე, მოდებაძე, ხუბუა, ჯიბლაძე (ჩანტლაძე 61), ურუშაძე, მაღლაფერიძე (კოტრიკაძე 45), მალიჩავა (მაისაშვილი 83)
სათადარიგონი: ლაძაძე, რატია
მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე

გაფრთხილება: ხუბუა (27), მალიჩავა (62)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ხ. გაგნიძე, კ. ტეფნაძე, ო. ხეცაძე

დამკვირვებელი: მ. მირცხულავა

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

„ბათუმი“ კომპლიმენტებს იმსახურებს — გუნდი პირველ წრესთან შედარებით აშკარად გაიზარდა და დაიხვეწა.

ზღვისპირული კლუბი ჩემპიონატის ლიდერებს გვარიანად ჩამორჩება და დიდი ამბიციებიც არ ამოძრავებს, თუმცა ბათუმელებს სურთ, რაც შეიძლება, მაღალი ადგილი დაიკავონ, ხოლო მომავალი სეზონიდან საპრიზო ადგილებზეც ექნებათ პრეტენზია.

„სპარტაკის“ განადგურება მე-5 წუთზე დაიწყო. მარჯვენა ფლანგზე შესანიშნავად მოთამაშე ზურაბ ექონიამ ამ მატჩში პირველი საგოლე გადაცემა გააკეთა და რევაზ ჯიქიამ თავურით იხეირა — 1:0.

მასპინძლები უფრო მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც, როგორც ვთქვით, ექონია აქტიურობდა. მას მხარი შუახაზელებმა, გიორგი მანწკავამ და ბრაზილიელმა ტიაგო ჟენეირომ აუბეს და თბილისელებიც ძალიან დაიჩაგრნენ.

25-ე წუთზე მეორე გოლი გავიდა — მეტოქის საჯარიმოსთან ბუროი მანწკავამ მიიღო და ჯიქიას აწვდიდა, მაგრამ მცველი ჩანაფიქრს მიუხვდა... ბურთს ისევ მანწკავა დაეუფლა და 2:0.

„სპარტაკს“ პირველი ტაიმის ბოლოს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ირაკლი თოთლაძემ ივაჟკაცა და ზედიზედ სამი დარტყმული მოიგერია.

2:0 ურიგო შედეგი არ იქნებოდა, მაგრამ გაბელიას შეგირდებმა ეს არ იკმარეს და მეორე ტაიმშიც შეუტიეს.

მე-60 წუთზე კი ტიაგოს ჯერიც დადგა — ბრაზილიელი საჯარიმოს სიახლოვიდან ტექნიკურად შემობრუნდა და ძლიერი დარტყმით მარცხენა ცხრიანში ჩასვა ბურთი — 3:0.

სტუმრებმა ტემპს ვერ გაუძლეს და სულ დაიშალნენ. „ბათუმიც“ არა და არ მოეშვა — ექონიას პასით ჯიქიამ თავურით დუბლი გააკეთა.

ხუთიოდ წუთში ვლადიმერ დვალიშვილის დროც დადგა — ორ მცველს გაასწრო, მეტოქის კარს მიუახლოვდა და 5:0.

ფოტო: ეროვნული ფეხბურთის ლიგა

რევაზ ჯიქია დუბლით გამოირჩა

პრესკონფერენცია

ოთარ გაბელია: ფეხბურთელებმა დავალებები კარგად შეასრულეს. ეს მოგება არაფერს ნიშნავს, გუნდის თამაში ჯერაც დასახვეწია, თუმცა ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ. ახლახან რეგიონის ხელმძღვანელობასაც შევხვდი და დამპირდა, სტადიონსაც მალე მოვაწყობთო.

ჯუმბერ აბაშიძე: ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. სასიხარულოა, ბათუმში ასეთი ძლიერი გუნდი რომ გაკეთდა. ჩვენი გუნდი კი ახალგაზრდულია და, რაც შეეძლო, ითამაშა.

მცხეთა. 4 მარტი. 15 საათი. არმაზი. 150 (ტევადობა 3 000)

სოხუმი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ფეიქრიშვილი (12)

სოხუმი: ავ. ლაბაძე, გოგიტაძე (ხაჩიძე 46), ჟვანია, ზ. ჯელაძე, მაჩალაძე, ჭყონია, დონდოლაძე (სიხარულიძე 68), ამბიძე, გაგუა, ა. ნოზაძე, გადელია
სათადარიგონი: ჯინჭარაძე; ჯერენაშვილი, ბართია, მოლოდინი, მამფორია
მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, ა. კვახაძე, გველესიანი (დ. ლომაია 89), იმედაშვილი, გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, ზ. სახოკია (ლუჯაშვილი 53), ფეიქრიშვილი (ლ. რაზმაძე 83), გელაშვილი
სათადარიგონი: მიქაბერიძე; ჯაფარიძე, ბერიაშვილი, ებანოიძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ჟვანია (50), გ. დათუნაიშვილი (55), ჭყონია (57)

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, დ. კვეტნაძე, პ. დოგრაშვილი

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე

კმაყოფილები

სოხუმმა მთელი ძალით წააგო

ილია ნანობაშვილი მცხეთიდან

ამის ნახევარი რომ „ცხინვალთან“ გვეთამაშა, უეჭველად მოვიგებდითო, თქვა ნამატჩევს „სოხუმის“ თავკაცმა გოჩა ჟორჟოლიანმა.

სოხუმელებმა მართლაც იბრძოლეს, თავზე ხელდად არ დაამხობინეს ბურთი ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“, ერთბურთიან წაგებასაც ძნელად თუ შემოსწყრება კაცი, მაგრამ... რას ნიშნავს „ამის ნახევარი ძალით“, როდესაც გუნდს კარის ჩარჩოში ერთხელაც არ დაურტყამს?! ფორმალურ მასპინძლებს ერთი ნახევრად საგოლე მომენტიც არ შეუქმნიათ, ასე კი თამაშს ვერ იგებენ...

„ვიტ ჯორჯიამ“ თავიდანვე შეტევებით დაიწყო, ფორვარდ ნიკა გელაშვილს ფლანგებიდან გიორგი ფეიქრიშვილი და ზაზა სახოკია ამოუდგნენ, სამივენი რიგრიგობით შტურმავდნენ „სოხუმის“ საჯარიმოს და გოლიც მალევე გავიდა. მე-12 წუთზე დავით იმედაშვილმა საჯარიმოში ჩააბზრიალა ბურთი, გელაშვილმა თავით დაუგდო ფეიქრიშვილს და მანაც ახლო კუთხეში გაუტანა ავთანდილ ლაბაძეს — 0:1.

ვიტელები დაწყნარდნენო, ვერ ვიტყვით, უბრალოდ, „სოხუმმა“ ძალიან მოუჭირა მარწუხებს, ტემპში, სიხისტეში აჰყვა მეტოქეს და ბურთიც მეტწილად მინდვრის ცენტრში დაგორავდა — ვერანაირ მჭაქე მომენტს პირველ ტაიმში ვერ ვიხსენებთ.

შესვენებისას „ვიტ ჯორჯიას“ ოცამდე ქომაგმა დროშები ააფრიალა და ყიჟინა დასცხო — მეოთე ანგარიში ნერვებს უწეწავდა ლიდერს, ერთი ბრმა გოლი და ორ ქულასთან ერთად პირველ ადგილსაც დაკარგავდნენ, მაგრამ აკი ვთქვით, „სოხუმმა“ კარში დარტყმამდე საქმე ვერ მიიყვანა. პირიქით, გასატანი ისევ ვიტელებს ჰქონდათ: ფეიქრიშვილი ორჯერ გავიდა ლაბაძესთან პირისპირ და ორჯერვე უზუსტოდ გაისარჯა, მერე გელაშვილმა საპენალტე ნიშნულიდან აცილა, იმედაშვილის მძლავრი თავური ხარიხას მოხვდა...

და მაინც, მომენტების მხრივ თამაში ძალიან ღარიბი გამოდგა — კი, კარგია თითო გოჯისთვის ბრძოლა, მაგრამ ფეხბურთი მარტო ბრძოლა არაა, ტვინი და იმპროვიზაციაც საჭირო კომპონენტებია.

სხვა საქმეა, რომ ორივე გუნდის მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა: ნესტორ მუმლაძე მოგებით, გოჩა ჟორჟოლიანი კი ერთბურთიანი წაგებით...

ბოლნისური სიო გორულ ქარში

გორი. 4 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 400 (ტევადობა 8 230)

დილა 0:2 სიონი

0:1 ალავიძე (2), 0:2 მიკუჩაძე (62)

დილა: გეგეშიძე, გვარუციძე, მაისურაძე (ძიძიგური 42; მასურაშვილი 58), ოლგესაშვილი, ლავრელაშვილი, ვაჩეიშვილი, საყვარელიძე, ტლაშაძე (მჭედლიძე 65), ტორონჯაძე, ფირანიშვილი, ჯოხაძე
სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, თურმანიძე, კურტანიძე, დ. ნადირაძე
მწვრთნელი: ლავრენტი ბოლოთაშვილი

სიონი: ბათიაშვილი, კობაური, დ. სვანიძე, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი, ბაჯელიძე, ხმალაძე, ა. ალავიძე, ვ. უგრეხელიძე, მიკუჩაძე (ჭიჭვეიშვილი 83), სირბილაძე (ლაშხუკი 46; ხუციშვილი 51)
სათადარიგონი: ბობღიაშვილი; კვიტაიშვილი, ოქროპირიძე, თევდორაძე
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ვაჩეიშვილი (14), საყვარელიძე (28), უგრეხელიძე (33), მჭედლიძე (70)

მსაჯები: მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია; **დელეგატი:** შ. ბაქრაძე

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

ცივ და ქარიან ამინდში „დილას“ საქომაგოდ სტადიონზე მისული მაყურებელი გაწბილებული დარჩა — პირველი წრის შემდეგ მთლიანად გადახალისებულმა და გაახალგაზრდავებულმა „დილამ“ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია „სიონს“, რომელიც სრულ უპირატესობას ფლობდა.

სტუმრები მატჩის დაწყებისთანავე დაწინაურდნენ. მე-2 წუთზე მათი პირველივე შეტევა გოლით დაგვირგვინდა — უგრეხელიძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდა „დილას“ საჯარიმოში, სადაც ალავიძემ ყველას დაასწრო და ახლოდან გაიტანა — 0:1.

„დილა“ სტუმართა აქტიურ თამაშს მხოლოდ ეპიზოდური კონტრშეტევებით პასუხობდა, მაგრამ ამაოდ, რადგან მოთამაშენი მარტივ სიტუაციებში ერთმანეთს ვერ უგებდნენ და ხშირად ცდებოდნენ.

მთელ 90 წუთში „დილას“ ერთადერთი რეალური მომენტი ჰქონდა, როდესაც სწრაფი კონტრიერიშის შემდეგ ტორონჯაძემ კარგი პოზიციიდან სუსტად და უზუსტოდ დაარტყა.

პირველ ტაიმში საინტერესო სხვა თითქმის არაფერი მომხდარა...

მატჩის მეორე ნახევარიც სტუმართა დიდი უპირატესობით წარიმართა. როგორც ვთქვით, „დილა“ ვერანაირი ხერხით ვერ პასუხობდა. ეს მეორე ტაიმში უფრო აშკარა იყო, რადგან შეუთამაშებელმა „დილამ“ ფიზიკურადაც მოიკოჭლა.

62-ე წუთზე „დილას“ საჯარიმოში მცველების მიერ ცუდად მოგერიებულ ბურთს დაეუფლა მიხეილ ხუციშვილი, რომელმაც საგოლე გადაცემა გაუკეთა იქვე მყოფ კოკა მიკუჩაძეს და მანაც მეკარის ბაქნის კუთხიდან მეორე გოლი გაიტანა — 0:2.

ამის შემდეგ მწვრთნელებმა რამდენიმე შეცვლა განახორციელეს, რასაც თამაშის მიმდინარეობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია და ანგარიშიც აღარ შეცვლილა.

პრესკონფერენცია

კახა ცხადაძე: დიდი უპირატესობა გვქონდა და მატჩი ლოგიკურადაც დამთავრდა, მაგრამ თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ, რაზეც გავლენა უამინდობამ და ცუდმა მინდორმა იქონია.

ლავრენტი ბოლოთაშვილი: გუნდი ახლიდან ყალიბდება და ყველაფერი მოსაწესრიგებელია.

ეროვნული საფეხბურთო ლიგა
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 17 ტური

ხაჩიძის ორი არგენტინა

ერთი ატყუებს, მეორე გვატყუებს

ფოთი. 4 მარტი. 15 საათი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 0:0 ბორჯომი

კოლხეთი:	ბორჯომი:
ხარძეიშვილი, გ. კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ქობულაძე, ყურაშვილი, კრასოვსკი, ზ. რაზმაძე (ზ. ქუთათელაძე 73), ვართაგავა (დ. ნარსია 61), ე. მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია, ნიქარიშვილი	მამალაძე, საჯაია, ა. ბურნაძე, დავით ბაქრაძე, ე. მერებაშვილი, სებალე (ჯანგიძე 88), გაბისკირია, გ. ჩხეტიანი (მემარნიშვილი 89), აფციაური (შ. ჯიქია 64), გეწაძე, დე პორასი
სათადარიგონი: ლატარია; ნაბრია, ლოლუა, გ. სახოკია	სათადარიგონი: მამარდაშვილი; სანიკიძე
მწვრთნელი: სოსო ფილია	მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: კილასონია (60), რაზმაძე (69), სებალე (69), ბაქრაძე (76), დე პორასი (83)

მსაჯები: ა. ორდინიძე, გ. ცირდავა, ზ. ჯვარიძე, გ. კიკაჩეიშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა; დირექტორი: ე. თევზაძე

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

„ფაზისზე“ ჩვენი ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი მორიგი უსახური მატჩი შედგა — მწირი მომენტებით, ოღონდ შიგადაშიგ ბრძოლით. გაგანია სეზონშიც ხშირია ასეთი თამაში და რა გასაკვირია, სეზონის განახლებისას ივივე რომ გვეხილა.

სტუმრები ვლადიმერ ხაჩიძის თაკკაცობით პირველად გავიდნენ მოედანზე და, ერთი შეხედვით, თავიდან მონდომებულები ჩანდნენ. ეს განსაკუთრებით რევაზ გეწაძეზე ითქმის, რომელიც ძალიან აქტიური იყო.

სოსო ფილიას შეგირდები ნელნელა მოეგნენ გონს და ტაიმის შუაწელში თამაშიც გაათანაბრეს, მოგვიანებით კი უპირატესობაც მოიპოვეს. ეგ არის, ორივე გუნდის ქმედებას რაიმე რეალური საგოლე ეპიზოდები არ მოჰყოლია. ასე თუ ისე ხიფათის მაგვარი 38-ე წუთზე ჩავინიშნეთ კოლხთა კართან, როცა ჯონი შალამბერიძე უხეშად შეცდა, ბურთი გეწაძეს ჩააბარა და სიტუაციის გამოსწორება ბორჯომელი მოიერიშის ზედ საჯარიმოს წინ წაქცევით შეძლო მხოლოდ. არადა, გეწაძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა და სულაც არ გაგვიკვირდებოდა, მსაჯს კოლხთა კაპიტანი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გაეძევებინა, თუმცა ავთანდილ ორდინიძემ ყვითელი ბარათიც კი არ გაიმეტა. ვერ გეტყვით, ეს რატომ მოხდა, მაგრამ ისიცაა, რომ ამ ეპიზოდამდე „კოლხეთი“ პენალტს ითხოვდა და ამით ალბათ ერთგვარი რეაბილიტაცია მოიწადინა მსაჯმა.

მასპინძელთა დასჯა იური გაბისკირიას შეეძლო, მაგრამ ეს საჯარიმო კარს ოდნავ ააცილა. ორ წუთში კი მიხეილ ქობულაძემ იყოჩაღა, სებალე-დე პორასის არგენტინული კომბინაცია ბოლოწამს ჩაშალა, თორემ...

შესვენებამდე კიდევ ერთი სახიფათო მომენტი ვნახეთ, ოღონდ უკვე სტუმართა კართან — რაზმაძის პასზე ოდნავ შეაგვიანდა წიქარიშვილს და მეკარემ ფეხით შეძლო სიტუაციის განმუხტვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ ბორჯომელები ჩანდნენ მობილიზებულები, მაგრამ მათ იერიშებს აშკარად აკლდა ორგანიზება. მასპინძლებს თავის დაცვა არ უჭირდათ, მაგრამ შემტევი პოტენციალი თითქმის ნულის ტოლი ჰქონდათ. ჰოდა, მოედნის ცენტრში ჯავგურს თვალსაჩინო აღარაფერი მოჰყოლია.

აი, სულ ეს იყო, რაც შეიძლებოდა, ამ მატჩიდან გამოგვერჩია და იმასაც დავამატებთ, რომ ორდინიძე მეორე ტაიმში გააქტიურდა — ერთბაშად 5 ყვითელი აჩვენა ფეხბურთელებს.

პრესკონფერენცია

ვლადიმერ ხაჩიძე: გუნდში ხუთი დღის მოსული ვარ და ეს ჩემი პირველი მატჩი იყო. კარგ მინდორზე თამაშს და ვარჯიშს შევეჩვიეთ და „ფაზისის“ დამძიმებულ გრუნტზე, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა. სანახაობრივად ცუდი თამაში გამოდგა, თუმცა ბრძოლა მაინც იყო. შედეგით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხებათ არგენტინელებს, მათმა თამაშმა გამაკვირვაო, ვერ გეტყვით. გონსალო დე პორასს უფრო ეტყობა კლასი და უბურთოდაც მოძრაობს, სებალე კი საშუალოზე დაბალი დონის ფეხბურთელია.

სოსო ფილია: შედეგით უკმაყოფილო არც მე ვარ. მოსამზადებელი პერიოდი ჩაგვივარდა და თანდათან მოვუმატებთ თამაშს. რა თქმა უნდა, თასის ნახევარფინალში გასვლა გვსურს, მაგრამ ძალების დაზოგვა ან ფეხბურთელების დასვენება მოკლე სკამის გამო არ შეგვეძლო.

მუჯირმა კრილია გასინჯა

მარცვალაძემ დუბლებში გაიტანა

დავით მუჯირი

ავსტრული „შტურმიდან“ წამოსული დავით მუჯირი რომ რუსულ „კრილიაში“ მივიდა, გეცოდინებათ. „მუმუმ“ სამარელთა შემადგენლობაში დებიუტიც მოასწრო — გუშინ მოსკოვის „დინამოსთან“ სათასო მატჩში (2:0) 64-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა. ისევე, როგორც „შტურმში“, მუჯირი „კრილიაშიც“ 20-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

გუშინწინ კი კიევის „დინამოს“ დუბლებში ოთარ მარცვალაძემ იყოჩაღა. ჩვენიანმა მე-20 წუთზე გორან საბლიჩის პასი აქცია გოლად. დინამოელებმა სტუმრად 3:0 მოუგეს „ილიჩევეცის“ სარეზერვო გუნდს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს ინარჩუნებენ.

ილია ნანობაშვილი

ზირაქიშვილს კუნთმა უმუხთლა

30 წლის ფორვარდ ზაზა ზირაქიშვილს თავის კარიერაში ცამეტ გუნდში უთამაშია, მისი გეოგრაფია აზერბაიჯანიდან პორტუგალიამდეა გადაჭიმული, ხოლო მე-14 ჯერზე ზაზა ბელარუსულ გუნდში, გროდნოს „ნემანში“ აპირებდა გადასვლას.

თებერვლის მეორე ნახევარში ზირაქიშვილი თურქეთში შეკრებაზე მყოფ „ნემანში“ მივიდა, ივარჯიშა იქ და ოთხი დღის წინ საკონტროლო შეხვედრაში სასტარტოშიც ითამაშა ყაზახეთის „ატირაუსთან“...

მაგრამ ჩვენებურის და „ნემანის“ გზები გაიყო — ზირაქიშვილს ფეხის კუნთი დაუზიანდა და ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ზაზას თურქეთიდან წამოსვლამ მოუწია.

ნიკა ჯორჯაძე

თელავი. 4 მარტი. 15 საათი. გ. ჩოხელი. 1 500 (ტევადობა 6 000)

კახეთი 4:0 ცხინვალი

1:0 ლომიძე (41ს.კ.), 2:0 კობახიძე (52), 3:0 სოსელია (60), 4:0 კობახიძე (80)

კახეთი:	ცხინვალი:
ცინაძე, ტარულაშვილი, კობაიძე, მაღლაკელიძე, ბედოიძე, როსტიაშვილი (ნ. დავითაშვილი 76), კევლიშვილი, გიორგობიანი, ბურდული, სოსელია (იმერლიშვილი 69), კობახიძე (ტეტიაშვილი 82)	გ. შენგელია, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ქარქოზაშვილი (ვ. თაყაძე 56), ეჯოშვილი, ხანიშვილი, ნოზაძე (ახალკაცი 76), მაისურაძე, დათვაძე, ბ. ჩიტაია
სათადარიგონი: კუპრაშვილი, კვირკველია, მურველაშვილი	სათადარიგონი: ხოხობაშვილი, მძინარიშვილი, ქილიფთარი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი	მწვრთნელი: ივანე თაყაძე

გაფრთხილება: ჩიტაია (4), ბურდული (23), იმერლიშვილი (74), ლომიძე (77), ახალკაცი (81)

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. ბერაძე, ზ. ხუციშვილი, დ. სანაია

დამკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი

ცხინვალელთა სიალალე თელავში

შენ რა გიჭირს, მე ვიკითხო...

გიორგი კაციტაძე თელავიდან

თელაველი გულშემატკივარი მეტად ნასიამოვნები დარჩა საყვარელი გუნდის თამაშით. ჩანს, „კახეთს“ გადახალისება ძალიან მოუხდა — ტრიბუნებზე შეფენილი ხალხი არც მალავდა, ეს „კახეთის“ საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონშიო. ისიც ვთქვათ, რომ გივი ჩოხელის სახელობის სტადიონზე მინდვრის საფარის მდგომარეობა საგრძნობლადაა გაუმჯობესებული...

ახლა თამაშზეც: პირველი ტაიმი ორივე გუნდმა ძალიან ცუდად ჩაატარა, თუმცა გარკვეულწილად ამაში ამინდიცაა დამნაშავე — ძლიერი ქარი იყო.

მთელი 40 წუთი ორივე გუნდი უბრალოდ იდგა და ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ, 41-ე წუთზე კი თელაველთა მრავალსვლიან კომბინაციას, რომელიც კობაიძემ წამოიწყო, კარში დარტყმით დაგვირგვინდა — სტუმართა მცველმა გიორგი ლომიძემ ფეხი უხერხულად დაუხვედრა ბურთს და... საკუთარ კარში ჩაჭრა.

ცხინვალელები გატყდნენ და მეორე ტაიმი ძალიან უსუსურად ჩაატარეს. „კახეთი“ კი პირიქით, ათამაშდა და ათამაშდა...

დისკვალიფიცირებული ვასილ არუდაშვილის არყოფნაში კარგად გაისარჯა ვლადიმერ კობახიძე, რომელმაც დუბლი გაახერხა.

პირველი გოლი 52-ე წუთზე გავიდა — კევლიშვილის დაწყებული შეტევა როსტიაშვილმა გააგრძელა და კობახიძემ დაასრულა — 2:0.

კობახიძის მეორე გოლი, რომელიც თამაშში ბოლო აღმოჩნდა, მე-80 წუთზე გავიდა. შეცვლაზე შესული ნიკა დავითაშვილის სწრაფი დრიბლინგი თელაველთა ფორვარდმა შედეგიანად დააგვირგვინა.

მანამდე კი მიხეილ სოსელიამაც იყოჩაღა — მეკარესთან პირისპირ გასულმა მშვიდად შეაგორა ბურთი კარში.

პრესკონფერენცია

ჯემალ მახარაშვილი: ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოგებას. გუნდმა შეკრება საკმაოდ ნაყოფიერად ჩაატარა და ალბათ ამის დამსახურებაცაა დღევანდელი თამაში. ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელმა უნდა გაიგოს, რომ ერთმანეთის დახმარებით შედეგს აუცილებლად მივაღწევთ. შედეგს კი უმაღლესში დარჩენა ჰქვია. მადლობა ფეხბურთელებს, გულშემატკივარს და ყველას, ვინც გვერდში გვიდგას.

ივანე თაყაძე: ვულოცავ თელაველებს წარმატებას. მათგან განსხვავებით, ჩვენ მოსამზადებელი პერიოდი ჩაგვივარდა ფინანსური პრობლემების გამო. ორად-ორჯერ ვივარჯიშეთ, საკონტროლო მატჩებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

...ავტოგოლის შემდეგ ფეხბურთელები გატყდნენ და მეორე ტაიმი ძალიან ცუდად ჩაატარეს.

ვიტ ჯორჯია	17	13	3	1	37:10	42
სიონი	17	13	2	2	34:12	41
დინამო	17	12	2	3	29:9	38
ლოკომოტივი	17	10	3	4	28:13	33
ზესტაფონი	17	10	3	4	21:12	33
ამერი	17	10	2	5	20:11	32
ბორჯომი	17	10	1	6	29:16	31
ბათუმი	17	8	4	5	19:12	28
ოლხეთი	17	7	2	8	16:20	23
კახეთი	17	6	1	10	18:26	19
დილა	17	5	1	11	21:27	16
ტორპედო	17	4	4	9	14:24	16
ცხინვალი	17	4	3	10	14:33	15
სოხუმი	17	3	1	13	17:41	10
სპარტაკი	17	2	2	13	4:33	8
თბილისი	17	1	2	14	11:33	5

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 38 11 14, 877 54 55 00

ყველაზე მაღალმა ქართველმა კალათბურთელმა, 223-სანტიმეტრიანმა სერგო ათუაშვილმა გუნდი გამოიცვალა. თითქოს არაფერი ედგა წინ მის ესპანეთში მოწყობას, თუმც მიზეზთა გამო ათუაშვილი პორტუგალიაში აღმოჩნდა და „ბარიერენშეში“ ჩაირიცხა.

სერხიოს ესპანეთი გადაედო

ათუაშვილმა ბარეირენშე გაიფორმა

ჯერ კიდევ შემოდგომაზე სერგოს „ბარსელონა“ და „რეალი“ ეპატიჟებოდნენ, მერე „ვალენსიამაც“ მოიწადინა გოლიათი ქართველი ცენტრის შემატება და ათუაშვილმაც გადაწყვიტა, ფრანგული „შალონი“ დაეტოვებინა. ახალი წლის შემდეგ სერგომ კონტრაქტი გაწყვიტა შალონელებთან და ესპანეთში გაემგზავრა, სადაც მისი მეურვე ცნობილი აგენტი არტურო ორტეგო იყო.

გუშინ ორტეგოს ესპანეთში დავუკავშირდით, რომელმაც ეს გვითხრა: „ათუაშვილით რამდენიმე წამყვანი გუნდი იყო დაინტერესებული, მაგრამ გარკვეული ტექნიკური მიზეზების გამო მისი ტრანსფერი რომელიმე ესპანურ კლუბში არ შედგა. სეზონმა ეკვატორს გადააბიჯა, საცაა, პლეი ოფი დაიწყება და თითქმის ყველა გუნდი შევსებულია. თანაც, ესპანეთში ყველაზე მკაცრი ლიმიტია არაევროკავშირელ ლეგიონერებზე და ამანაც შეუშალა ხელი ათუაშვილის ტრანსფერს. სურვილი არაერთმა გუნდმა გამოთქვა, მაგრამ ამ სეზონში მისი ესპანეთში მოწყობა არ მოხერხდა და დროებით სერგო პორტუგალიაში ითამაშებს. მან უმაღლესლიგელ „ბარეირენშესთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ეს არაფერია, სეზონის დასრულების შემდეგ ის ესპანეთში ჩამოვა და, სავარაუდოდ ვალენსიის „პამესაში“ მოეწყობა.“

მაშ ასე, ათუაშვილის ახალი გუნდი „ბარეირენშეა“, რომელიც პორტუგალიის 12-გუნდა ჩემპიონატში დღესლეობით მე-10 ადგილზეა. სერგომ უკვე ითამაშა ახალი გუნდის მაისურით, თუმც მოედანზე მხოლოდ 5 წუთი გაატარა.

გადრი კვირკელიძის ფოტო

„ბარეირენშე“ სტუმრად ვატო ნაცვლიშვილის ყოფილ გუნდ „ოლივეირენშეს“ ეთამაშებოდა, რომელიც ლიდერთა შორისაა და ჩემპიონობისთვის იბრძვის. ბარეირენშელებმა 81:97 წააგეს, ქართველმა გოლიათმა კი, ცოტა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ერთადერთი სროლა განახორციელა და ისიც სამქულიანი, რომელიც, სამწუხაროდ, აუცდა.

„ბარეირენშეს“ მომდევნო მატჩი წუხელ გვიან ღამით უნდა ეთამაშა „შანტარემთან“.

ირაკლი პერტაია

მსაჯი ყველგან მსაჯია

ფეხბურთელებს უკრაინიდან გამოცდილება მოაქვთ

ახლახან უკრაინის ღია პირველობაზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 4 მატჩი გამართა, რომელთაგან ორი მოიგო და ორშიც დამარცხდა. ქართველებმა მარცხი მარიუპოლის უძლიერეს გუნდთან განიცადეს, კიევის „დინამოს“ კი მხოლოდ ბოლო წამებზე დანებდნენ. კიევში, ძირითადად, ახალგაზრდები (1987 წელს დაბადებულები) თამაშობდნენ, ლეგიონერი მხოლოდ ორი იყო. ქართულებში ყველაზე გამორჩეული ზურაბ რურუა იყო, რომელმაც მეტოქეთა კარი თოთხმეტჯერ დალაშქრა და გუნდის ბომბარდირიც გახდა.

ამ ტურნირზე დაწვრილებით მოგვითხრობს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი სოსო მაისურაძე

— საერთო ჯამში, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, პირველი ორი შეხვედრა კარგად ჩავატარეთ და გავიმარჯვეთ კიდეც. მომდევნო თამაში მარიუპოლის გუნდთან გვქონდა. მისი დამარცხება ყველასთვის ძალიან ძნელია. ამ გუნდს უბრალოდ არ აქვს წაგების უფლება. წარმოიდგინეთ, თამაშს ესწრება სპონსორი, რომელიც თითოეულ წყალბურთელს თვეში 1000, ზოგს კი 1500 დოლარსაც უხდის. მათ უდიდესი მოტივაცია აქვთ. გარდა ამისა, მარიუპოლელებს პირობებიც შესანიშნავი აქვთ და შეთამაშების პრობლემაც არ აწუხებთ, რაც ჩვენი უპირველესი გასაჭირია. მათთან შეხვედრაში, როგორც უნდა მოგვენდომებინა, ვერას გავხდებოდით, რადგან მსაჯებიც გააკეთებდნენ თავიანთ საქმეს...

...რაც შეეხება კიევის „დინამოს“, მასთან, უბრალოდ, არ უნდა წაგვეგო. მატჩის დამთავრებამდე 45 წამი რჩებოდა, ანგარიში კი 10:10 იყო. ბურთი ჩვენ გვქონდა და შეგვეძლო 30 წამი „დაგვეჭირა“. დარჩენილ 15 წამში ისინი ვერ გაგვიტანდნენ და ეს ფრეს მოგვიტანდა. მე ტაიმაუტი ავიღე და ბიჭებს ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავით, თავი დაგვეცვა თუ შეგვეტია. გუნდი ერთსულოვანი იყო, ბიჭებმა შეტევა გადაწყვიტეს... სამწუხაროდ, დავმარცხდით. არჩეულმა ნაბიჯმა არ გაამართლა, თუმცა მე მათი შემართებით მაინც კმაყოფილი ვარ. მითუმეტეს, რომ ისინი მეტოქეებზე ბევრად უმცროსები არიან, ლეგიონერთაგან კი მხოლოდ ორი გვყავდა — მეკარე ზურაბ ჭუმბურიძე (მოსკოვის ცსკ) და ილია ბუტიკაშვილი (ჰანოვერი). სამწუხაროდ, დანარჩენები ვერ ჩამოვიდნენ, ზოგი კლუბში იყო დაკავებული, ზოგსაც სავიზო პრობლემა შეექმნა.

ამჟამად უკრაინის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე ვართ, მომდევნო წრეში კი (21-26 აპრილი) უშუალო კონკურენტებს ვეთამაშებით. ალბათ კვლავ ამ გუნდით გამოვალთ, რათა ბიჭები შეთამაშდნენ. ამ ტურს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წინ მთავარ მოსამზადებელ ეტაპად გამოვიყენებთ.

— შესარჩევ ციკლში რთული მატჩები გელით. მხოლოდ ამ თამაშს დასჯერდებით, თუ სხვა გეგმებიც გაქვთ?

— იქ ალბათ ორ დღეს კიდევ დავრჩებით და ამხანაგურ მატჩებს კიევის „დინამოსთან“ გავმართავთ, რაც ძალიან წაგვადგება. განსაკუთრებით, ფიზიკურად უნდა მოვემზადოთ, რადგან ევროშესარჩევის მატჩები სულ სამი დღის ინტერვალით (4-7 მაისი) ტარდება. ჩვენ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვყავს: რუსეთის, თურქეთის, მოლდოვას, შვედეთისა და მასპინძელი ბულგარეთის გუნდები. შემდეგ ეტაპზე ორი გუნდი გადის, რუსეთის გარდა ერთ-ერთი ფავორიტი თურქები იქნებიან. მათ საკმაოდ დიდი ღობი ჰყავთ, ლენ-ას (ევროპის წყალბურთის ფედერაცია) პრეზიდენტი თურქია.

— მანამდე რას აპირებთ?

— ახლა ორ დღეს დავისვენებთ და შემდეგ ბაკურიანში 10 დღიან შეკრებაზე გავემზავრებით. ფიზიკურ კონდიციებს აღვიდგენთ და ტაქტიკურად მოვემზადებით. გვინდა, რომ ამას დიდი დრო დავუთმოთ, რათა ის შეცდომები აღარ დავუშვათ, რაც უკვე გვქონდა. დიდი იმედი გვაქვს, რომ შესარჩევ ციკლს გადავლახავთ და აგვისტოში რუმინეთში ევროპის ჩემპიონატზე გავემგზავრებით.

ლექსო მაისურაძე

ლექსო მაისურაძე და მისი შეგირდები

გადრი კვირკელიძის ფოტო

NBA რეგულარული ჩემპიონატი

3 მარტი

ატლანტა 93:102 საკრამენტო

ატლანტა: აივი, ჯონსონი (19), სმიტი (8), ჰარინგტონი (23 ქულა, 10 მოხსნა), ფაჩულია (25 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 დაფარება); უილიამსი (17), სტუდემაიერი (14), ჩილდრესი (3), ედვარდსი (2), ბატისტა

საკრამენტო: ბიბი (17), მარტინი (19), არტესტი (18), ტომასი (7), მილერი (24 ქულა, 10 მოხსნა); აბდურ-რაჰიმი (12), ველსი (3), ჰარტი (2)

ფინიქსი 123:118 ორლანდო

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ნიუ იორკი 101:108 ჩიკაგო

ჰიუსტონი 89:78 დენვერი

სიეტლი 96:98 დეტროიტი

გ. სიეტლი 94:106 ლეიკერსი

იუტა 105:103 კლიპერსი

დალასი 90:76 შარლოტი

ბოსტონი 99:98 ინდიანა

ფილადელფია 119:113 ვაშინგტონი

4 მარტი

მაიამი 95:93 ატლანტა

მაიამი: უილიამსი (14), პოუზი, უილკერი (13), ჰეისლიმი (15), ონილი (21); დ. ანდერსონი (14), მურნინგი (11), შ. ანდერსონი (5), პეიტონი (2)

ატლანტა: აივი (4), ჯონსონი (28), სმიტი (21), ჰარინგტონი (14), ფაჩულია (17 წუთი, 4 ქულა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 1 მოხსნა); სტუდემაიერი (7), უილიამსი (7), ბატისტა 4), ედვარდსი (4)

ნიუ ჯერსი 105:100 ტორონტო

ძირითადი დრო 89:89

მილუოკი 98:103 ნიუ იორკი

დენვერი 110:94 ორლანდო

სან ანტონიო 101:81 პორტლენდი

ლეიკერსი 105:94 დეტროიტი

რეგულარული ჩემპიონატი

3 მარტი

კაროლინა 5:2 ფლორიდა
1:0 1:1 3:1

ბუფალო 6:2 ტორონტო
2:1 2:0 2:1

ჩიკაგო 4:5 ვანკუვერი
3:0 1:2 0:2 0:0 0:1
ბულიტების სერიაში

ედმონტონი 3:2 სან ხოსე
0:0 0:0 3:2

ანაჰაიმი 4:2 მინესოტა
0:0 2:1 2:1

4 მარტი

ფინიქსი 3:7 დეტროიტი
2:3 1:4 0:0

პიტსბურგი 5:7 კაროლინა
0:5 3:1 2:1

ნიუ ჯერსი 2:1 რეინჯერსი
1:0 1:1 0:0

ტორონტო 2:4 ოტავა
1:0 1:0 0:2

აილენდერსი 4:2 ფილადელფია
0:1 2:0 2:1

ლოს ანჯელესი 3:2 კოლუმბუსი
0:0 2:0 1:2

ბოსტონი 2:3 ბუფალო
2:1 0:2 0:0

ტამპა 2:6 მონრეალი
0:1 1:1 1:4

ვაშინგტონი 2:3 ატლანტა
1:0 0:0 2:1 0:1

დალასი 5:3 კოლორადო
2:1 2:0 1:2

კალგარი 2:0 სან ხოსე
1:0 0:0 1:0



ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დავით ქევხიშვილს პრაღიდან ოქრო მოაქვს...

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲞᲠᲐᲚᲘᲡ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები პირველ-მეორე ნომრებით რომ წავიდა, შაბათს გაცნობეთ. მსოფლიოს თასების სერიის ამ ეტაპმა სხვებთან შედარებით შეუმჩნევლად ჩაიარა. ინტერნეტში არც თავისი ვებ-გვერდი ჰქონია და ვერც ჩეხურ ჟურნალ-გაზეთებში მოვიძიეთ მის შესახებ რაიმე ღირებული თუ ანონსს არ ჩავთვლით. ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ ტურნირზე მყოფი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილიდა დაგვრჩა.

შაბათის შედეგები კი ზურაბ ზვიადაურმა გვაცნობა. ოლიმპიური ჩემპიონი თბილისშია და თავადაც ტელეფონით გებულობდა ჩეხურ სიახლეებს.

4 მარტს ქართველებმა ყულაბაში ოთხი მედალი ჩაუშვეს. ყველაზე უკეთ გაისარჯა ტრავმის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებული დავით ქევხიშვილი (73კგ). ფინალში მან მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორს, უკრაინელ გენადი ბილოდიდს მოუგო. ამავე წონაში გამოვიდა დავით მარგოშვილიც, მაგრამ მან პირველსავე შეხვედრაში ტრავმა მიიღო, მერე უფრო გაიმიზეზა და ბრძოლა ველარ გააგრძელა.

66 კილოგრამში კვარცხლბეკზე ორივე ქართველი ავიდა. ზაზა კედელაშვილმა ფინალში ფრანგ ბენჟამინ დარბალეტთან წააგო და ვერცხლის მედალი აიღო, მინდია ხოზიზურმა კი — ბრინჯაოსი.

ნესტორ ხერგიანიც (60კგ) მესამე იყო. ჩემპიონი კი უძლეველი იაპონელი ტადაჰირო ნომურა გახდა. ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი ტატამს კარგახნიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

ბოლოს გუშინდელი ამბები და ნაცვლიშვილის კომენტარი: „დღეს სამი მედალი ავიღეთ, თუმცა ფინალში ვერცერთი ჩვენებური ვერ გავიდა. ირაკლი ცირეკიძემ ნახევარფინალში ჰოლანდიელ ოლიმპიურ ჩემპიონ მარკ ჰუიზინგასან წააგო და საბოლოოდ ბრინჯაოს დასჯერდა. ბრინჯაო აიღო გრიგოლ მამრიკიშვილმაც, ხოლო გიორგი ბაინდურაშვილი დამამშვიდებლის ფინალში დამარცხდა. ასევე ბრინჯაოს დაეუფლა გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ). მძიმე წონაში კი ლაშა გუჯეჯიანიც და ზვიად ხანჯალიაშვილიც უმეძლოდ დაგვირჩნენ.“

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

...ზაზა კედელაშვილს კი ვერცხლი

ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲕᲐᲚᲡᲖᲔ

ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲖᲐᲘᲙᲘᲜᲐ ᲐᲡᲐᲗᲘ ᲯᲘᲣᲓᲝᲔᲑᲨᲘ, ᲡᲣᲚᲘᲙᲝᲗᲘ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲚᲔᲙᲣᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

დღეს სლოვენიაში 20-წლამდელ ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ლიუბლიანურ ყინულზე პირველად ისრიალებს მოცეკვავეთა ქართული წყვილი. 19 წლის ოთარ ჯაფარიძე და 16 წლის ეკატერინა ზაიკინა გუშინ ჩაფრინდნენ სლოვენიაში და ხვალ ტურნირსაც იწყებენ. ჩვენები 7, 9 და 10 მარტს გამოვლენ ყინულზე

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲓᲐᲕᲐᲖᲣᲡᲢᲠᲘᲐ, ეკატერინა ზაიკინა ტოლიატიში დაბადებულ-გაზრდილი გოგონაა, ბოლოს მოსკოვში ვარჯიშობდა და ოთარ ჯაფარიძეს მას შემდეგ შეუწყვილდა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა ქართული პასპორტი მისცა. წივნებისა და თანამედროვე მუსიკის მოყვარული ზაიკინა მანამდე რუსთა პერსპექტიულ მოციგურავე მატვეი მატვეევთან ერთად სრიალებდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ევროპის ოლიმპიადაზე მოხვედრის პერსპექტივის გამო „გაქართველებას“ დათანხმდა. ჯაფარიძე კი დიდი ხანია, რაც მოსკოვში ცხოვრობს და ვარჯიშობს. სლოვენიაში გაფრენამდე ოთარის მამას და საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჯაფარიძეს მოსკოვში დავუკავშირდით და ჩვენი წყვილის პერსპექტივაზე დავეკითხეთ.

— ოთარისა და ეკატერინას წყვილი დიდი ხანია, მოსკოვში ვარჯიშობს. საკმაოდ კარგად არიან მომზადებულები. ახლა მთავარია, ფსიქოლოგიური მომენტი გადალახონ. მაინც დებიუტანტები არიან და შეიძლება, გამოუცდელობამაც იჩინოს თავი, აქამდე მხოლოდ ერთ, ავსტრიის საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდნენ შარშან და მეოთხე ადგილი დაიკავეს.

— სლოვენიაში რომელ ადგილს უმიზნებთ?

— დებიუტანტების კვალობაზე მეორე ათეულში მოხვედრა ცუდი შედეგი არ იქნება. აი, პირველ ათეულში შელწევა კი შეიძლება, წარმატებულ შედეგად მივიჩნიოთ. ამის შანსი არის, თანაც მათ გამოცდილი რუსი მწვრთნელები, ცოლ-ქმარი ალექსეი და ლუდმილა გორშკოვები ავარჯიშებენ. მათ სამი წყვილი მიჰყავთ ლუბლიანაში. ჩვენების გარდა ორი რუსული წყვილია და ისინი მედლების კანდიდატები არიან. ერთი სიტყვით, მწვრთნელების ფაქტორიც მნიშვნელოვანია. პროგრამაც ძალიან კარგია.

— როგორი პროგრამა აქვთ?

— ცეკვებში ასეთი პრინციპია. არის სამი პროგრამა და წყვილებს სამივეს შეასრულებინებენ. მერე ჯამდება შედეგები და ასე ვლინდება პრიზიორები. აქ არ არის ის პრინციპი, რომ ვთქვათ, მოკლე პროგრამის შემდეგ თუ საჭირო ქულებს ვერ დააგროვებ, შემდეგ ეტაპზე ველარ გადიხარ. მოკლე და ორიგინალური ცეკვისთვის ეწყობა კენჭისყრა და ყველა წყვილი ვალდებულია, კენჭისყრით გამოვლენილ მელოდიებზე იცეკვოს. თავისუფალ პროგრამაში შეზღუდვები არ არის. ლიუბლიანაში მოკლე პროგრამა ავსტრიული ვალსით უნდა შესრულდეს, ორიგინალური ცეკვა კი ლათინო-ამერიკულ რიტმში. ოთარმა და ეკატერინამ სერხიო მენდესის კომპოზიციები არჩიეს და ჩა-ჩას და სამბას ელემენტებით იცეკვებენ. ყველაზე საინტერესო და ლამაზი საყურებელი თავისუფალი პროგრამა იქნება. მოტივი სუხიშვილების „ასა-ფაროიო“ იწყება, ნელი ნაწილი „სულიკოთი“ გრძელდება, ბოლოს კი „ლეკურით“ მთავრდება. ძალიან ლამაზი სანახავი და მოსასმენია. იმედია, ამ პროგრამით ოთარისა და ეკატერინას წყვილი პირველ ათეულში მოხვდება.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲖᲐᲘᲙᲘᲜᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲐᲠᲔᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი სროლაში. საქართველოს სახელით ხუთი მსროლელი გამოვიდა, თუმც მათგან ფინალში ვერავინ გავიდა. პნევმატური პისტოლეტით 10-მეტრიან დისტანციაზე გუნდის ლიდერ ნინო სალუქვაძეს და ნინო უჩაძეს საუკეთესო რვაში შესაღწევად თითო ქულა დააკლდათ. საკვალიფიკაციო ეტაპზე მათ 381 ქულა დააგროვეს. ლიდერი კი 388 ქულიანი რუსი ნატალია პადერინა იყო. მესამე ჩვენებურმა თამილა ასათიანმა (367 ქულა) კი მხოლოდ რამდენიმე მსროლელს აჯობა.

ფინალში ყველაზე ზუსტად დანიელმა სიუზან მეიერჰოფმა ისროლა და პადერინა ვერცხლს დააჯერა. ბრინჯაო პოლონელმა ბეატა ბარტკოუმ წაიღო.

10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტითვე სროლაში კაცებში სერგო ჩიტაიშვილი და ლევან ქადაგიძე გამოვიდნენ. 558 და 555 ქულა კი დააგროვეს, მაგრამ... საკვალიფიკაციო ეტაპის პირველადგილოსანს 587 ჰქონდა, მერვეს კი — 580.

კაცებში ჩემპიონი ბულგარული ტანიუ კირიაკოვი გახდა. მეორე-მესამეზე სომეხი ნორაირ ბახტამიანი და ფრანგი ვალტერ ლაპეირე გავიდნენ.

ᲥᲐᲮᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲫᲫᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ნინო სალუქვაძე



AFP დუბაიდან

რაფაელ ნადალმა დროშა ჩამოხსნა

მხიარული როჯერი ველარ ფრიალებს

დუბაი. არაბეთის გაერთიანებული საემიროები
ჰარდი
საპრიზო 1 000 000 $

ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) — 2:6 6:4 6:4

თურმე როჯერ ფედერერის დამარცხებაც შეიძლება...

შაბათს რაფაელ ნადალმა ყველას დაანახა, რომ თვით „მხიარული როჯერიც" კი არ არის უძლეველი. ესპანელმა თითოეული ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და თავისი შანსები ასი პროცენტით გამოიყენა.

გარდა იმისა, რომ ეს წლეულს ფედერერის პირველი მარცხი იყო, „მხიარულ როჯერს" ერთბაშად რამდენიმე შთამბეჭდავი სერია შეუწყდა — 56 წაუგებელი მატჩი ჰარდზე, 29 წაუგებელი მატჩი ახლო აღმოსავლეთში და ჰარდზე ზედიზედ 22 მოგებული ფინალი. ამ ყველა ზღაპრულ სერიას რაფაელ ნადალმა ერთი გამარჯვებით მოუღო ბოლო და პირად შეხვედრებში ფედერერთან უპირატესობა 3-1-მდე გაზარდა.

რაც მთავარია, დუბაიში გამარჯვებით ნადალმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ის არ არის ტიპური ესპანელი ჩოგბურთელი, ანუ მას თანაბრად ძლიერად შეუძლია თამაში როგორც თინხარზე, ისე ჰარდზე, რაც აგრერიგად იშვიათია პირენეული სკოლისთვის.

არადა, ვინ ენლოდა, რომ სამი თვის უქმობის შემდეგ კორტზე დაბრუნებული ესპანელი ჯეელი შეძლებდა არათუ ფედერერის დამარცხებას, არამედ საერთოდ ფინალში გასვლას. მაგრამ ნადალმა ყველანაირი პროგნოზი გააცამტვერა და დიდებული მატჩი ჩაატარა დუბაის ფინალში.

უშუალოდ შეხვედრა კი ფედერერის აშკარა უპირატესობით დაიწყო. მან მალევე აიღო მეტოქის მოწოდება და პირველი სეტი ადვილად მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

თუმც მეორე პარტიიდან ნადალმა აშკარად მოუმატა და შვეიცარელსაც ძალიან გაუჭირდა, რადგან ველარ უმკლავდებოდა მეტოქის უკანა ხაზიდან დარტყმულებს — ესპანელმა თავისი რეალტიული კროსების წყალობით შეძლო თამაშის გათანაბრება. აქ ფედერერმა შეცვალა ტაქტიკა და სულ უფრო ხშირად იწყო ბადესთან გასვლა, თუმც ნადალმა ამასაც მალევე აუღო ალღო და მეორე სეტი თავის სასარგებლოდ ჩაამთავრა.

ფედერერს მეტოქის სისწრაფემ და ბოლომდე ბრძოლის უნარმა სისხლი გაუშრო. ნადალი თითქმის უიმედო ბურთებს ეწეოდა და ხშირად კონტრშეტევებზე გათამაშებებს თავის სასარგებლოდ ასრულებდა, რამაც შედეგი გამოიღო — ესპანელმა გადამწყვეტი სეტის მეცხრე გეიმზე ბრეიკი გააკეთა და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

შემდეგ კი იყო ბევრი ემოცია, სიხარულისგან ატირებული ნადალი და მაყურებლის ხანგრძლივი ოვაცია.

„ეს გამარჯვება ფასდაუდებელია ჩემთვის, მე ხომ არათუ თანამედროვეობის, არამედ ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს მოვუგე... აქ ჩამოსვლისას ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ დონეზე თამაშს შევძლებდი... კი, ცოტა წავიტირე, მაგრამ ეს გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, განსაკუთრებით სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ. ასეთ დროს კი ემოციების შეკავება ძალიან ძნელია" — ყურებამდე იღიმებოდა ნამტირალევი ჭაბუკი.

ფედერერმა კი — ფინალში წაგებას პირველ წრეში წაგება მერჩივნა, მაგრამ თავს ჩემთვის ძალა არ არის, მეტოქემ დღეს აშკარად უკეთესად ითამაშა.



AFP დოჰაიდან

საჩემპიონო „ოქროს ჭურიკი" ამელი მორესმოს (მარცხნივ) კი არა ნადია პეტროვას შეხვდა

დოჰა. ყატარი
ჰარდი
საპრიზო 600 000 $

ფინალი

ნადია პეტროვა (რუსეთი, 2) — ამელი მორესმო (საფრანგეთი, 1) — 6:3 7:5

ვერც დოჰაში მოიგო ფავორიტმა. ამელი მორესმო უკვე ზედიზედ მეორე კვირაა, ხელიდან უშვებს რეიტინგის სათავეში მოქცევის შანსს.

ფრანგს ნადია პეტროვასთვის უნდა მოეგო და კიმ კლაისტერსს ადგილსაც გაუცვლიდა, მაგრამ ვერ შეძლო მატჩისადმი სათანადოდ განწყობა და რუსმაც დასაჯა.

პეტროვამ კი უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ძალიან მოუმატა და ალაგ-ალაგ სხვადასხვა ტოპ-მეჩოგნეებს ძალიანაც ამწარებდა ხოლმე. ამჯერად მისი მსხვერპლი მორესმო აღმოჩნდა.

არადა, მორესმო წლეულს მართლაც მშვენიერ სეზონს ატარებს — ფრანგმა უკვე სამი ტურნირის მოგება მოასწრო, მაგრამ აგერ, დოჰაში ვერაფრით გააწყო პეტროვასთან. რუსმა მეტოქეზე გაცილებით აგრესიულად ითამაშა და დამსახურებულადაც მოიგო.

„კარგი მატჩი ჩავატარე, თავიდანვე მე ვკარნახობდი თამაშის ტემპს და უპირატესობა ბოლომდე შევინარჩუნე... აქ გამარჯვებამ ჭკუა მასწავლა — შევეცდები, ყოველთვის ასე ვითამაშო" — გახარებული იყო პეტროვა.

ისე, არც მორესმო იყო მაინდამაინც დამწუხრებული: „ნადიამ ძალიან სოლიდურად ითამაშა... თუმც მეც ბევრი ვცოდე — წესიერად ვერ ვაწოდებდი და ბადესთანაც საზიზღრად ვითამაშე... დიდებული იქნებოდა პირველ ადგილზე გადანაცვლება, მაგრამ დღეს ჩემი დღე აშკარად არ იყო."

აკაპულკო. მექსიკა
თიხნარი
საპრიზო 180 000 $

ფინალი

ანა-ლენა გროენეფილდი (გერმანია, 2) — ფლავია პენეტა (იტალია) — 6:1 4:6 6:2

კახა ლომაშვილი

კორეაში რა გინდოდათ

კაცები

იონგპიონგი. სამხრეთ კორეა
გიგანტური სლალომი

1 დავიდე სიმონჩელი (იტალია) — 2.13,63
2 მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) — 2.13,71
3 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) — 2.13,83

ქალები

ჰაფელ-კეიტელი. ნორვეგია
სუპერ გიგანტი

1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1.18,65
2 ნადია შტაიგერი (შვეიცარია) — 1.18,65
3 ლინდსი კილდუო (აშშ) — 1.18,65

ჰაფელ-კეიტელი. ნორვეგია
სუპერ კომბინაცია

1 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 2.06,92
2 ანია პიერსონი (შვედეთი) — 2.07,05
3 მარლის შილდი (ავსტრია) — 2.07,57

განახლდა ტურინის ოლიმპიადის გამო შეწყვეტილი მსოფლიოს თასის გათამაშებები და სპორტსმენები კვლავ ძველებურ კალაპოტს უბრუნდებიან. ზოგიერთისთვის ეს შანსია, რომ ოლიმპიადაზე განცდილი წარუმატებლობა დაივიწყოს, ზოგი კი ტურინში დაწყებული წარმატებული სერიის გაგრძელებაზე მუშაობს.

კაცები ამ უქმეებზე ნამეტანი შორს, სამხრეთ კორეაში გადაიხვეწნენ და იქაურ იონგპიონგში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. იქ თითქმის ყველა ლიდერი ჩავიდა, მხოლოდ ამერიკელმა ბრდე მილერმა იუკადრისა კორეაში გაფრენა.

იონგპიონგში გამართული გიგანტური სლალომი კი იტალიელთა ტრიუმფით დასრულდა. აპენინელებმა, რომლებიც მშობლიურ კედლებში გამართულ ოლიმპიადაზე ერთხელაც ვერ ავიდნენ პოდიუმზე, კორეაში ერთბაშად პირველი ორი საფეხური დაიკავეს. განსაკუთრებით თავი დავიდე სიმონჩელიმ გამოიდო, რომელმაც სულ რაღაც 0,07 წამით მოუგო მასიმილიანო ბლარდონეს. მესამეზე კი ვიკინგი აქსელ ლუნდ სვინდალი გავიდა.

„დიდებულია „მწვერვალზე" დაბრუნება ოლიმპიური კოშმარის მერე" — განაცხადა გახარებულმა სიმონჩელიმ.

კორეაში ძალიან ცუდად ესრიალეს ოლიმპიადის მთავარმა ტრიუმფატორმა — ბენჯამინ რაიხმა და ჰერმან მაიერმა. პირველი მხოლოდ მეხუთეზე გავიდა. „ჰერმინატორი" კი 23-ე ადგილს დასჯერდა. თუმც კორეული წარუმატებლობის მიუხედავად, რაიხი მაინც მყარად ლიდერობს საერთო ჩათვლას და მეორე ადგილზე მყოფ თანამემამულე მიხაელ ვალჰოფერს სოლიდური სხვაობით, 279 ქულით უგებს.

აი, ქალები კი ევროპაში დარჩნენ, ოღონდ ეგაა, რომ ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და ნორვეგიაში მოიყარეს თავი. ისინი ერთმანეთს ჯერ სუპერგიგანტში გაეჯიბნენ, სადაც ძალიან მოულოდნელი და ამ სპორტისთვის იშვიათი მოვლენა მოხდა — შეჯიბრი ერთდროულად სამმა მოიგო — მიქაელა დორფმაისტერმა, ნადია შტაიგერმა და ლინდსი კილდუომ ორი ცდის შედეგად აბსოლუტურად ერთნაირი შედეგები აჩვენეს. რაკი მთის თხილამურობაში გადათამაშება და მისთანები არ არსებობს, სამივე სპორტსმენი გამარჯვებულად გამოცხადდა.

„იმედია, პოდიუმს უფრო დიდს გააკეთებენ, ზედ ყველა რომ მოვთავსდეთ" — დაჯილდოების წინ იხუმრა პენსიაზე სანახევროდ გასულმა და აწ გასრულებული ოლიმპიადის ორგზის გამარჯვებულმა დორფმაისტერმა.

კიდევ უფრო საინტერესო საკითხერი გამოდგა შაბათს გამართული სუპერ-კომბინაცია, რომელმაც ძველი შეურიგებელი მეტოქეების — იანიცა კოსტელიჩისა და ანია პიერსონის ბრძოლით ჩაისრიალა. ეს ორი მოთხილამურე, აგერ, უკვე სამი წელია, რიგრიგობით იკავებს მსოფლიოს თასის გათამაშებებს და წლეულსაც ერთმანეთის უმთავრესი კონკურენტები არიან.

თუმც ამჯერად კოსტელიჩის უპირატესობა აშკარაა და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ხორვატი არავის დაუთმობს პირველ ადგილს. უკვე ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნორვეგიაშიც იმარჯვა და ამით ლიდერის პოზიცია კიდევ უფრო გაიმყარა.

კახა ლომაშვილი

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		6 მარტი						
23:45	1	უიგანი-მანჩესტერი	4.70	3.40	1.70	1.97	1.24	1.13
23:45	2	უიგანი-მანჩესტერი 1:0	2.00	3.30	2.80			
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		7 მარტი						
23:45	14	პლიმუთი-პრესტონი	2.60	3.30	2.38	1.45	1.24	1.38
23:45	15	ვულვერჰემპტონი-სტოკი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
		ინგლისი. I ლიგა						
		7 მარტი						
23:45	28	იოვილი-ბრენტფორდი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
		ინგლისი. II ლიგა						
		7 მარტი						
23:45	41	ბერი-სტოკპორტი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		7 მარტი						
23:30	82	ფორფარი-სტირლინგი	2.75	3.40	2.10	1.52	1.19	1.29
23:30	83	გრეტნა-დამბარტონი	1.17	5.30	10.00	1.00	1.04	3.46
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		7 მარტი						
23:30	89	კუოდენბითი-ელგინი	1.45	4.00	5.50	1.06	1.14	2.31
23:30	90	ალბიონი-არბროთი	3.40	3.40	1.80	1.70	1.17	1.17
23:30	91	ბერიკი-ქუინზ პარკი	1.65	3.50	4.00	1.12	1.16	1.86
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		6 მარტი						
23:15	109	ალემანია-პანზა	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
		იტალია. სერია B						
		6 მარტი						
23:45	179	კატანია-მანტოვა	2.00	2.70	4.00	1.14	1.33	1.61
		იტალია. სერია C1/A						
		6 მარტი						
23:45	506	სალერნიტანა-პადოვა	2.35	2.50	3.30	1.21	1.37	1.42

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		6 მარტი						
23:30	246	ლორიანი-კაენი	2.00	2.70	4.00	1.14	1.33	1.61
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		6 მარტი						
23:45	311	რიუ ავე-ბელენენსეში	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
		ჩეხეთი						
		6 მარტი						
19:40	505	იპლავა-სპარტა	6.00	3.70	1.45	2.28	1.16	1.04
		ჩემპიონთა ლიგა						
		7 მარტი						
23:45	440	იუვენტუსი-ვერდერი	1.45	3.90	7.00	1.05	1.20	2.50
23:45	441	ბარსელონა-ჩელსი	1.90	3.40	3.70	1.21	1.25	1.77
23:45	442	ვილიარეალი-რეინჯერსი	1.45	3.90	7.00	1.05	1.20	2.50
		8 მარტი						
23:45	443	არსენალი-რეალი	2.40	3.30	2.65	1.38	1.25	1.46
23:45	444	ლიონი-პსვ	1.55	3.60	5.70	1.08	1.21	2.20
23:45	445	ლივერპული-ბენფიკა	1.45	3.90	7.00	1.05	1.20	2.50
23:45	446	მილანი-ბაიერნი	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
		ინგლისი. თასი						
		7 მარტი						
23:45	455	სუონსი-კოლჩესტერი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
23:45	456	მაკსფილდი-კარლაილი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		ჰოკეი. შვედეთი						
		6 მარტი						
22:00	656	ბრიუნესი-ტიმრე	1.85	4.30	2.50	1.29	1.06	1.58
22:00	657	ფერიესტადი-მორა	1.25	4.70	5.00	1.00	1.00	2.42
22:00	658	ლეკსანდი-იურგორდენი	1.90	4.30	2.40	1.31	1.06	1.54
22:00	659	ლინჩიოპინგი-ჰვ 71	1.95	4.20	2.35	1.33	1.06	1.50
22:00	660	მოდო-ლულეო	1.85	4.30	2.50	1.29	1.06	1.58
22:00	661	სიოდერტელიე-ფრიოლუნდა	2.80	4.40	1.70	1.71	1.05	1.22

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	უიგანი-მანჩესტერი	5.00	2.00	2.10	1.42	1.47	1.02

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11440	იუვენტუსი-ვერდერი	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	7.00
11441	ბარსელონა-ჩელსი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50
11442	ვილიარეალი-რეინჯერსი	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	8.00	20.00	10.00	7.00
11443	არსენალი-რეალი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11444	ლიონი-პსვ	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	8.00	20.00	10.00	8.00
11445	ლივერპული-ბენფიკა	2.00	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	8.00
11446	მილანი-ბაიერნი	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00

რამდენი გოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001	უიგანი-მანჩესტერი	1.70	1.90
12440	იუვენტუსი-ვერდერი	1.90	1.70
12441	ბარსელონა-ჩელსი	1.70	1.90
12442	ვილიარეალი-რეინჯერსი	1.60	2.00
12443	არსენალი-რეალი	1.90	1.70
12444	ლიონი-პსვ	1.70	1.90
12445	ლივერპული-ბენფიკა	1.70	1.90
12446	მილანი-ბაიერნი	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13001	უიგანი-მანჩესტერი	1.70	1.90
13440	იუვენტუსი-ვერდერი	1.70	1.90
13441	ბარსელონა-ჩელსი	1.70	1.90
13442	ვილიარეალი-რეინჯერსი	1.70	1.90
13443	არსენალი-რეალი	1.70	1.90
13444	ლიონი-პსვ	1.70	1.90
13445	ლივერპული-ბენფიკა	1.70	1.90
13446	მილანი-ბაიერნი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზაიგულად ჩაითვლება)

14001	უიგანი-მანჩესტერი	2.40	1.40
14440	იუვენტუსი-ვერდერი	1.25	2.60
14441	ბარსელონა-ჩელსი	1.70	2.20
14442	ვილიარეალი-რეინჯერსი	1.27	2.50
14443	არსენალი-რეალი	1.85	1.95
14444	ლიონი-პსვ	1.35	2.50
14445	ლივერპული-ბენფიკა	1.25	2.50
14446	მილანი-ბაიერნი	1.65	2.10

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	უიგანი-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15440	იუვენტუსი-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15441	ბარსელონა-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15442	ვილიარეალი-რეინჯერსი	3.00	2.80	2.00
15443	არსენალი-რეალი	3.00	2.80	2.00
15444	ლიონი-პსვ	3.00	2.80	2.00
15445	ლივერპული-ბენფიკა	3.00	2.80	2.00
15446	მილანი-ბაიერნი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16001	უიგანი-მანჩესტერი	2.80	1.30
16440	იუვენტუსი-ვერდერი	1.09	4.50
16441	ბარსელონა-ჩელსი	1.35	2.60
16442	ვილიარეალი-რეინჯერსი	1.09	4.50
16443	არსენალი-რეალი	1.65	1.85
16444	ლიონი-პსვ	1.15	3.85
16445	ლივერპული-ბენფიკა	1.08	5.00
16446	მილანი-ბაიერნი	1.40	2.25

გოლი:წაგები-10ში კენტი-2. (0:0 ითვლება წაგებად)

17001	უიგანი-მანჩესტერი	1.85	1.95
17440	იუვენტუსი-ვერდერი	1.85	1.95
17441	ბარსელონა-ჩელსი	1.85	1.95
17442	ვილიარეალი-რეინჯერსი	1.85	1.95
17443	არსენალი-რეალი	1.85	1.95
17444	ლიონი-პსვ	1.85	1.95
17445	ლივერპული-ბენფიკა	1.85	1.95
17446	მილანი-ბაიერნი	1.85	1.95

202 და ცუდი ბიჭები

ტიერი ანრიმ დუბლი შეასრულა

ინგლისი
პრემიერლიგა
XXVIII ტური

ტოტენჰემი 3:2 ბლექბერნი

1:0, 2:0 კინი (9, 42), 2:1 სინამა-პონიოლი (44), 2:2 ბელამი (67), 3:2 მიდო (70)

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, დოუსონი, კინგი, ი. ლი, სტალტერი, კარიკი, დავიდსი (ა. ლენონი 59), ჯენასი, ტაინიო (დენი მერფი 77), რობი კინი, მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ნელსენი, ტოდი, მ. გრეი, ბენტლი, ემერტონი (კუქი 83), ს. რიდი, სევიჯი, ბელამი, სინამა-პონიოლი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: გრეი, ლი, რიდი, ტოდი, მიდო

მსაჯი: ვები

36 080 მაყურებელი

ვესტ ბრომვიჩი 1:2 ჩელსი

0:1 დროგბა (51), 0:2 კოული (74), 1:2 კანუ (88)

ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, ალბრეხტსენი (ბ. უოტსონი 82), კერტის დევისი, კლემენტი, პ. რობინსონი, გრინინგი, უოლვორკი, კოზაკი, ინამოტო (ელინგტონი 71), დ. კამარა, კ. კემპბელი (ნ. კანუ 71)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, ჰუთი, გალასი, მაკელელე, ჟსიენი, გუდიონსენი (ჯერემი 73), რობენი, დროგბა (შ. რაიტ-ფილიპსი 85), დაფი (ჯ. კოული 63)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: უოლვორკი

გაძევება: რობენი (62)

მსაჯი: ჰალსი

26 581 მაყურებელი

ლივერპული 0:0 ჩარლტონი

ლივერპული: რეინა, კრომკამპი, კარაგერი, ჰიიპია (რიისე 46), ჯ. ტრაორე, ჯ. სისე, ჰამანი (ხაბი ალონსო 73), ჯერარდი, კიუელი, ფაულერი, კრუუჩი (მორიენტესი 80)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ჩარლტონი: მირე, იანგი, პერი, პრეიდარსონი, სპექტორი, ამბროზი (პაუელი 87), კიშიშევი (იუელი 77), ჰოლანდი, ბ. ჰიუზი, დ. ბენტი, მ. ბენტი (ბოტროიდი 53)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: სისე, იანგი

მსაჯი: ატკინსონი

43 892 მაყურებელი

ფულემი 0:4 არსენალი

0:1 ანრი (31), 0:2 ადებაიორი (35), 0:3 ანრი (77), 0:4 ფაბრეგასი (86)

ფულემი: ვარნერი, ვოლცი, ნაითი, გომა, როსენიორი, რაძინსკი, რ. ელიოტი, მალბრანკი, ბოა მორტე, ჰელგუსონი (კ. ჯონი 61), ბ. მაკბრაიდი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

არსენალი: ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, ლიუნგბერგი, დიაბი, ფილბერტო სილვა, გლეები (ფაბრეგასი 79), ანრი (რეიესი 84), ადებაიორი (ბერხკამპი 72)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: დიაბი

მსაჯი: სტაილზი

22 397 მაყურებელი

ვესტ ჰემი 2:2 ევერტონი

1:0 ჰერვუდი (10), 1:1 ოსმანი (18), 2:1 ეშტონი (23), 2:2 ბიტი (71)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, სკალონი, ე. ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, ბენაიუნი (ზამორა 76), მალინსი, რეოკოკერი, ეზერინგტონი (ნიუტონი 87), ჰერვუდი, ეშტონი (შერინგემი 84)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

ევერტონი: ვესტერფელდი, ჰიბერტი, ვეირი, სტაბსი, ნუნუ ვალენტე, ოსმანი, არტეტა (კოლბეინი 90), ფ. ნევილი, ჩეპილი, მაკფადენი (მ. დეივისი 85), ბიტი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ბენაიუნი, ფერდინანდი, სკალონი, ნევილი, ჰიბერტი, არტეტა

მსაჯი: რაილი

34 866 მაყურებელი

ნიუკასლი 3:1 ბოლტონი

1:0 სოლანო (34), 2:0 შირერი (45), 3:0 ამეობი (70), 3:1 დეივისი (72)

ნიუკასლი: გივენი, რამეიჯი, ს. ელიოტი, ბუმსონგი, ბაბაიარო, სოლანო, პარკერი, ემრე (ბოიერი 82), ნზოგბია, შირერი, ამეობი (ლუკე 83)

მწვრთნელი: გლენ როიდერი

ბოლტონი: იასკელაინენი, ჯ. ობრაიენი, ნგოტი (მ. პედერსენი 46), ჯაიდი, რ. გარდნერი, აბდულა ფეიე, ოკოჩა (ნაკატა 17; ვაზ ტე 75), სპიდი, ნოლანი, კევინ დეივისი, იანაკოპულოსი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: შირერი, ლუკე, დეივისი

მსაჯი: ვაილი

52 012 მაყურებელი

მიდლსბრო 1:0 ბირმინგემი

1:0 ვიდუკა (45)

მიდლსბრო: შვარცერი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ, პარნაბი (შ. დევისი 20), კეტერმოლი, ჯ. ბოატენგი, მენდიეტა (დორივა 68), პოგატეცი, აიეგბენი, ვიდუკა (მაკარონე 68)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, ბრიუსი, მარტინ ტეილორი, ჯ. გრეი, პენანტი, ბათი, კილკენი (იაროშიკი 57), დ. ჯონსონი (ფორსელი 78), დ. დანი (კ. კემპბელი 56), ჰესკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

მსაჯი: პოლი

28 141 მაყურებელი

ასტონ ვილა 1:0 პორტსმუთი

1:0 ბაროში (36)

ასტონ ვილა: სორენსენი, ჯ. სამუელი (დე ლა კრუზი 23), ა. ჰიუზი, რიდგუელი, ბუმა, მილნერი, სტივენ დეივისი, გ. მაკკანი, ბერი, ფილიპსი, ბაროში (დ. მური 59)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

პორტსმუთი: კაილი, გრიფინი (პრისკე 79), პრიმუსი, ე. ობრაიენი, მეთიუ ტეილორი, რუტლეჯი, პ. მენდეში, საიმონ დეივისი (კოროლანი 68), ონილი, ლუა ლუა, ტოდოროვი (კარადასი 55)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: რიდგუელი, კარადასი

მსაჯი: დინი

30 194 მაყურებელი

სიტი 2:1 სანდერლენდი

1:0, 2:0 სამარასი (9, 10), 2:1 კილი (25)

სიტი: ჯეიმსი, დისტონი, რ. დანი, რიჩარდსი, ჯორდანი, მუსამპა, ჯ. რეინა (აირლენდი 81), რიერა (ფიხაი 60), სინკლერი, სამარასი, ვასელი (ბ. რაიტ-ფილიპსი 68)

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

სანდერლენდი: კელვინ დეივისი, ბრინი, მაკკარტნი, ნოსვორთი, არკა, დ. კოლინზი, დელაპი (ლოურენსი 61), ლიდბიტერი, უიტჰიდი, სტივენ ელიოტი (ლე ტალეკი 82), კილი (სტიდი 82)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

გაფრთხილება: უიტჰიდი, რიერა, ბრინი, დელაპი, ბრინი

გაძევება: ბრინი (85)

მსაჯი: ფოი

42 200 მაყურებელი

უიგანი — მანჩესტერი

დღეს გაიმართება

„ჩელსიმ“ კი მოიგო, მაგრამ ფეხბურთელებმა კიდევ უფრო გაიმყარეს ცუდი ბიჭების სახელი: „ვესტ ბრომთან“ სტუმრობისას ტყუპწიხლა ვარდნისთვის სეზონში მეორედ გააძევეს არიენ რობენი, რომელმაც ჯონათან გრინინგი ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა.

მერე კი დიდიე დროგბამ იკოტრიალა ისე, თითქოს იმავ გრინინგს მისთვის ფეხი გამოედოს. ამან ისე აღაშფოთა „ვესტ ბრომის“ მენეჯერი ბრაიან რობსონი, რომ მინდვრის კიდეზე ჟოზე მაურინიუს გაექაჩა.

რობსონი მსაჯ მარკ ჰალსზეც იყო ნაწყენი, როცა 0:1-ს ვაგებდით, ნაღდი პენალტი არ დაგვიდო. ვესტბრომვიჩელებმა თამაშის მიწურულსღა გაიტანეს ერთადერთი სპასუხო, მატჩის შემდეგ რობსონმა და მაურინიუმ ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს, პორტუგალიელმა კი ყველაფერი გრინინგს დაუბრალა, სიმულანტი სწორედ ეგ არის და არა დროგბაო, „ჩელსის“ ფეხბურთელებმა კი პირდაპირ შეჭამეს მსაჯი.

ასე თუ ისე, „ჩელსიმ“ მოიგო, „ლივერპულმა“ კი „ენფილდზე“ ძვრა ვერ უყო „ჩარლტონს“. უკმაყოფილო რაფა ბენიტესმა თქვა, რომ ფაულერის გატანილი თამაშგარე სულაც არ იყოო, მაგრამ ამით საქმე არ გამოკეთებულა: „საშწუხაროა, რომ ბოლო მატჩებში გოლები ვერ გაგვაქვს“.

გოლები კი ბლომად გააქვს „ნიუკასლს“, რომელმაც ამჯერად 8 მატჩში დაუმარცხებელი „ბოლტონი“ წააქცია და თავისი წაუგებელი სერია ექვს თამაშამდე გაზარდა. ეს ექვსივე თამაში ჯორდებმა დროებით მწვრთნელ გლენ როიდერის ხელში ჩაატარეს. სამმატჩიანი ტრავმის შემდეგ დაბრუნდა ალან შირერი, რომელმაც თავისი 202-ე ნიუკასლური გოლი შეაგდო, ნოლბერტო სოლანომ კი „ფუტბოლი დახურა“ იმ საღამოს.

ევერტონელთა მეგოლემ ჯეიმს ბიტიმ თავისი პირველი გასვლითი გოლი გაიტანა და ლურჯებმა ქუდა გამოგლიჯეს აქამდე ექვსი მატჩის ზედიზედ მომგებ „ვესტ ჰემს“. ლონდონელთათვის ეს ფრე ძალიან მწარე იყო, რადგან გუნდი ევროპულ სარბიელზე დაზომებას ცდილობს.

სამი თვე იყო, არ გაეტანა „მიდლსბროს“ ურჩ მარკ ვიდუკას და ახლა მისმა ჯენტმა გოლმა „ბოროს“ სარდაფის ბრძოლა მოაგებინა „ბირმინგემთან“. ჰარი რედნაპს კი ალბათ ძალიან გაუჭირდება „პორტსმუთის“ პრემიერლიგაში დატოვება — გუნდმა ამჯერად „ვილა პარკზე“ წააგო, „ასტონ ვილასთვის“ კი ეს იყო პირველი საშინაო გამარჯვება შობა დღის შემდეგ.

„არსენალმა“ ლაღად წაივარჯიშა „კრეივენ კოტეჯზე“ და „ფულემს“ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა, რომელთაგან ორი ტიერი ანრისა იყო და „რეალთან“ მატჩის წინ კარგი განწყობა მოიმარაგა.

ირაკლი გამყრელიძე

არიენ რობენი ჰალსმა ტყუპი წიხლისთვის გააძევა

ბომბარდირები

ვან ნისტელროი (მანჩესტერი)	19
ანრი (არსენალი)	17
ლამპარდი (ჩელსი)	14

ჩელსი	28	23	3	2	56:17	72
ლივერპული	28	16	7	5	33:17	55
მანჩესტერი	26	16	6	4	52:27	54
ტოტენჰემი	28	13	10	5	40:26	49
არსენალი	28	13	5	10	43:22	44
ბლექბერნი	28	13	4	11	36:34	43
ბოლტონი	26	11	9	6	33:27	42
ვესტ ჰემი	27	12	6	9	41:36	42
სიტი	28	12	4	12	38:32	40
უიგანი	27	12	4	11	32:34	40
ნიუკასლი	28	11	6	11	29:30	39
ევერტონი	28	11	4	13	21:36	37
ჩარლტონი	28	10	6	12	32:37	36
ასტონ ვილა	28	8	10	10	33:35	34
მიდლსბრო	27	9	7	11	36:44	34
ფულემი	28	9	5	14	37:43	32
ვესტ ბრომვიჩი	28	7	5	16	25:42	26
ბირმინგემი	27	6	5	16	22:38	23
პორტსმუთი	28	4	6	18	18:48	18
სანდერლენდი	28	2	4	22	19:51	10

XXIX ტური
11-12 მარტი

არსენალი	:	ლივერპული
ბირმინგემი	:	ვესტ ბრომვიჩი
ბლექბერნი	:	ასტონ ვილა
ბოლტონი	:	ვესტ ჰემი
ჩარლტონი	:	მიდლსბრო
ჩელსი	:	ტოტენჰემი
ევერტონი	:	ფულემი
მანჩესტერი	:	ნიუკასლი
პორტსმუთი	:	სიტი
სანდერლენდი	:	უიგანი

ჩემპიონატი
XXXVII ტური

შეფილდი — ქროუ 0:0, ბარნლი — რედინგი 0:3, კარდიფი — უენსდი 1:0, კრ. პალასი — ლიდსი 1:2, ლესტერი — ჰალი 3:2, მილუოლი — ლუთონი 2:1, ნორვიჩი — სტოკი 2:1, პლიმუთი — ბრაიტონი 1:0, ქუინზ პარკი — ვულვზი 0:0, საუთჰემპტონი — ქოვენთრი 1:1, უოტფორდი — დერბი 2:2, პრესტონი — იფსვიჩი გადაიდო

რედინგი	37	27	8	2	80:24	89
შეფილდი	37	22	9	6	64:37	75
ლიდსი	36	20	9	7	51:29	69
უოტფორდი	37	19	11	7	67:43	68
კრ. პალასი	36	17	9	10	53:36	60
პრესტონი	34	13	16	5	45:25	55
კარდიფი	37	15	10	12	51:43	55
ვულვზი	36	13	15	8	40:30	54
იფსვიჩი	36	13	11	12	42:48	50
ნორვიჩი	37	14	7	16	45:52	49
ლუთონი	37	14	6	17	56:58	48
ქოვენთრი	37	12	12	13	49:54	48
პლიმუთი	36	11	13	12	33:39	46
ქუინზ პარკი	36	12	10	14	41:50	46
ბარნლი	36	12	7	17	41:47	43
სტოკი	35	13	4	18	38:50	43
საუთჰემპტონი	36	8	17	11	34:37	41
ლესტერი	37	9	13	15	41:50	40
დერბი	37	7	18	12	45:54	39
ჰალი	37	9	11	17	41:49	38
უენსდი	37	8	10	19	27:47	34
მილუოლი	37	6	14	17	28:50	32
ბრაიტონი	37	5	14	18	32:58	29
ქროუ	36	5	12	19	41:75	27

პირველი ლიგა
XXXVI ტური

ბარნსლი — სუონსი 2:2, ბრისტოლი — ნოტინგემი 1:1, ჩესტერფილდი — იოვილი 0:3, კოლჩესტერი — საუთენდი 0:3, ჰადერსფილდი დონკასტერი 2:2, ბრედფორდი — ბლეკპული, ჯილინგემი — ბრენტფორდი, ჰორტ ჯილი — დონსი, როტერჰემი — ოლდჰემ, სკანთორპი — ჰარტლეპული, სუინდონი — ტრანმერი და უოლსოლი — ბორნმუთი გადაიდო

მეორე ლიგა
XXXVI ტური

ბარნეტი — რექსემი 2:2, ჩელტენჰემი — უიკომბი 2:1, ნოტსი — მენსფილდი 2:2, პიტერბრო — სტოკპორტი 2:0, რაშდენი — გრიმსბი 1:1, შრიუსბერი — ლეიტონი 3:3. ჩესტერი — ტორკეი, ბოსტონი — ნორთჰემპტონი, ბერი — მაკლსფილდი, კარლაილი — ლინკოლნი, ოუსფორდი — როთერჰემი და როჩდეილი — დარლინგტონი გადაიდო

კონფერენსლიგა
XXXVI ტური

ქროული — აკრინგტონ 0:1, ექსეტერი — სოუთპორტი 5:0, ფორქტ გრინი — კიდერმინსტერი 0:0, გრეისი — ტემეორთი 5:0, უოქინგი — კუბრიჯი 0:1 ალტრინჩემი — ოორკეი, ბარტონ — დაგენჰემ, ჰალიფაქსი — გრეიუესენდი, მორეკამბი — ჰერეფორდი და სკარბორო — ქონეი გადაიდო

გერმანია
ბუნდესლიგა
XXIV ტური

ჰანოვერი 1:2 შალკე

0:1 პოულსენი (20), 0:2 ბაირამოვიჩი (28), 1:2 კრისტიანსენი (74)

ბრდარიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (74, მეკარე)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტროესტი (დელურა 30), ვინისიუსი, ლალა (რიკარდუ სოუზა 81), დაბროვსკი, შტაინერი, ჰაშემიანი (კრისტიანსენი 72), ბრდარიჩი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, **კობიაშვილი**, კ. პოულსენი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, აზაუაგი (დ. როდრიგესი 65), ასამოა (გ. ვარელა 90), სანდი (ლარსენი 81)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: პოულსენი, დელურა, დაბროვსკი, ზურავი, პოულსენი, ბორდონი, **კობიაშვილი**

გაძევება: პოულსენი (73)

მსაჯი: შტარკი

47 000 მაყურებელი

აინტრახტი 1:1 ვოლფსბურგი

0:1 ჰანკე (58), 1:1 ამანატიდისი (65)

აინტრახტი: ნიკოლოვი, რემერი, კრისი, ვასოსკი, ჰ. ოხსი, ჯონსი (დური ჩა 63), პროისი, კოლერი (რაინჰარდი 77), ა. მეიერი (ბუგელი 90), კოპადო, ამანატიდისი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

ვოლფსბურგი: იენჩი, ალექსი (ტიამი 76), კიროგა, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი, კარჰანი, ვან დერ ლეეგტე, მენსეგეში, ნეზირი (ლამპრეხტი 52), ჰანკე, კლიმოვიჩი (ბუგენდორპი 89)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ოხსი, კრისი, ამანატიდისი, ვან დერ ლეეგტე, კლიმოვიჩი

მსაჯი: კინჰოფერი

26 000 მაყურებელი

ბაიერნი 1:2 ჰამბურგი

0:1 დემელი (16), 1:1 შოლი (83), 1:2 დეიონგი (89)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლამი, დემიკელისი, დაისლერი (ქარიმი 46; შოლი 61), სალიხამიჯიჩი (შვაინსტაიგერი 46), ბალაკი, მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ჰამბურგი: ვესტერი, მაჰდავიკია, დემელი, ბულარუზი, ატუბა, ჯ. დე იონგი, იარიოლმი, ტროიოსკი (ბ. რაინჰარდტი 90), ვან დერ ვაარტი (კლინგბილი 67), ტაკაჰარა (ფილინგერი 87), ბარბარესი

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: პიზარო, ბალაკი, შვაინსტაიგერი, ტაკაჰარა, იარიოლმი, მაჰდავიკია, ვან დერ ვაარტი, დე იონგი

მსაჯი: მეიერი

69 000 მაყურებელი

ლევერკუზენი 1:1 ვერდერი

0:1 ფრინგსი (33), 1:1 ბერბატოვი (41)

ლევერკუზენი: ბუტი, კ. ფრიცი, ნოვოტნი, ჟუანი, როლფსი, ბ. შნაიდერი, ბარნეტა, ბაბიჩი, ფრაიერი, ბერბატოვი, ვორონინი (კრუინოვეკი 89)

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, პასანენი, კ. შულეი, ფრინგსი, ვრანიში (დ. იესენი 60), ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (წ. ვალდესი 68)

მწვრთნელი: თომას შაააფი

გაფრთხილება: ნოვოტნი, ვორონინი, ფრინგსი, ოვომოიელა

მსაჯი: ფანდელი

22 500 მაყურებელი

ჰერტა 2:4 კიოლნი

0:1 პოდოლსკი (53), 0:2 შტრელერი (54), 1:2 პანტელიჩი (56), 1:3 პოდოლსკი (75), 2:3 პანტელიჩი (83), 2:4 შერეი (87)

ჰერტა: ფიდლერი, ო. შრიოდერი, ა. ფრიდრიხი, სამბა, ფილბერტო, ნ. კოვაჩი (ნოინდორფი 44), კ. ბოატენგი, მარსელინო (დეჯაგაჰი 73), ბაშთურქი, პანტელიჩი, სვერკოში (ოკორონკვო 69)

მწვრთნელი: ფალკო გიოტეი

კიოლნი: ბადე, სინკევიჩი, ფოვოვიჩი, მატიპი, ლელი, კულმანი, შპრინგერი, კაბანასი, ა. შტრაიტი, პოდოლსკი (შინდელორეი 90), შტრელერი (შერეი 82)

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური

გაფრთხილება: სვერკოში, ბოატენგი, კულმანი, სინკევიჩი, შტრაიტი, პოდოლსკი, შტრელერი

მსაჯი: ვაგნერი

38 808 მაყურებელი

ნაყლაპი კანი ბაიერნს დაერია

სლომკაი ამბები შალკედან

დორტმუნდი 1:1 მაინცი

1:0 ვიორსი (27), 1:1 ტიურკი (53)

დორტმუნდი: გენტენაარი, ჰ. დეგენი, ბრეენსკა, ვიორსი, დედე, კელი, კრინგე, ნ. საჰინი (კრუშკა 72), ოდონკორი (მ. სტიგმანი 81), შმოლარეკი, გამბინო (ბაკლი 55)

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

მაინცი: ვეტკლო, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი, დემირტასი (ო. ადო 65), ჰეკოვიჩი, და სილვა, ტიურკი (ბაბაცი 90), მ. ზიდანი, ნ. ვაილანდი (კეისი 76)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: ბრეენსკა, ვაიგელტი

მსაჯი: რაფატი

66 200 მაყურებელი

ნიურნბერგი 3:0 დუისბურგი

1:0, 2:0, 3:0 ვიტეკი (8, 15, 86)

ნიურნბერგი: რ. შეფერი, ნიკლი, კანტალუპი, გლაუბერი, დ. რაინჰარდტი, მნარი, პინოლა, პოლაკი (კრისტენსენი 90), ვიტეკი, შროტი (დაუნი 88), საენკო (კესლინგი 82)

მწვრთნელი: ნორბერტ მეიერი

დუისბურგი: გ. კოხი, ბოძეკი (ანფანგი 45), მიორლე, აიგიუნი, ვოლტერსი, ტიკუზუ, კალიჯიური, ტარარახე, ვან ბუდტი (ანი 75), კურტი (აბანფუფი 46), ლავრიჩი

მწვრთნელი: იურგენ კოლერი

გაფრთხილება: პინოლა, ტარარახე, კალიჯიური, ტარარახე

გაძევება: ტარარახე (82)

მსაჯი: ვაინერი

43 954 მაყურებელი

მიონხენგლადბახი 2:0 არმინია

1:0 იანსენი (34), 2:0 სონკი (65)

მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ბოგელუნდი, ბ. სვენსონი, ზე ანტონიო, მ. იანსენი, პოლანსკი, ელ ფაკირი, კლეგე, ბროიხი (ტიისი 72), სონკი (რაფაელი 76), ნოივილი (კაე 86)

მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი

არმინია: ბაინი, კორჟინეკი, ვესტერმანი, ბორგესი, შულერი, კაუფი, ფინკი, დ. კობილიკი (დალოვიჩი 67), მასმანიდისი (პინტო 46), ზუმა, ვატა

მწვრთნელი: ფრანკ გეიდეკი

გაფრთხილება: პოლანსკი, ბოგელუნდი

მსაჯი: პერლი

39 372 მაყურებელი

კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი

გადაიდო

„ალიანს არენას“ გახსნიდან 280-ე დღეს „ბაიერნმა“ პირველი საშინაო მარცხი იგემა. ახალ სტადიონზე გუნდს აქამდე არ წაეგო, მაგრამ ზღაპარი დამთავრდა. „ჰამბურგმა“ თოვლ-ჭყაპში მოუგო „ბაიერნს“, რაც ბოლო 24 წლის მანძილზე ჰამბურგელთა პირველი გამარჯვება გამოდგა მიუნხენში.

ბუნდესლიგის დასრულებამდე ათი ტურით ადრე შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ხელახლა იწყება. „ვერდერი“ და „ჰამბურგი“ ლიდერს ახლა მხოლოდ რვა-რვა ქულით ჩამორჩებიან.

ტრავმამოშუშებულმა ოლივერ კანმა პირველი გოლი აშკარად „ყლაპა“. ეგონა, რომ გი დემელი პასს აკეთებდა, მაგრამ დემელმა კარში დაარტყა და მეკარე ხახამშრალი დატოვა, ხოლო ჰამბურგელთა ეს საგოლე კომბინაცია იმით დაწყო, რომ მიხაელ ბალაკმა ბურთი დაკარგა.

„ბაიერნს“ არ ჰყავდა დაშავებული ბიქსენტ ლიზარაზუ და პაულო გერერო, ხოლო ზე რობერტოს მესამე შვილი შეეძინა და სახლში გაუშვეს.

„ჰამბურგმა“ პირველ ტაიმში ნაღდად აჯობა მასპინძლებს, რომლებსაც ბურთის მოთვინიერება უჭირდათ. შესვენების შემდეგ მაგათმა სალიჰამიჯიჩი და დაისლერი შვაინსტაიგერით და ალი ქარიმით შეცვალა. ამან ცოტა გამოაფხიზლა გუნდი, მაგრამ 15 წუთში ქარიმი დაშავდა, რომლის ნაცვლადაც მეჰმეთ შოლი შევიდა და გოლიც შეაგდო.

ასეთ დროს „ბაიერნს“ თითქოს ქულის შესანარჩუნებლად უნდა ეზრუნა, თუმც „ჰამბურგი“ იშტაზე იყო და ბოლოსწინა წუთზე სტუმრებმა მაინც გაიტანეს. მაჰდავიკიას ჩაწოდებულ ბურთს დე იონგმა თავი ჰკრა და კანის კარის კუთხეში ჩასვა.

„არ მესმის, როგორ დატოვეს უყურადღებოდ დე იონგი — ბრაზობდა კანი ნამატჩევს — გამოცდილი გუნდი ასეთ დროს გოლს არ უნდა უშვებდეს. იმის ნაცვლად, რომ ანგარიში შეგვენარჩუნებინა, შეტევა მოინდომეს და კიდეც დავისაჯეთ“.

გელზენკირხენის „შალკე“ ნელ-ნელა უახლოვდება ლიდერთა სამეულს. მირკო სლომკას გუნდმა კვლავაც ბრწყინვალედ ითამაშა, ლევან კობიაშვილმა კი ორი საგოლე პასი მიითვალა.

კობიაშვილის პასით ჯერ პოულსენმა იხეირა, რომელმაც კეფით გაუტანა „ჰანოვერის“ მეკარეს, მერე კი ზლატან ბაირამოვიჩმა ჩაუცეკვა მასპინძელ მცველებს და სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში მსაჯმა პოულსენი ხელით თამაშისთვის გააძევა და პენალტი დანიშნა „შალკეს“ კარში. თერთმეტი მეტრიდან ბრდარიჩის დარტყმული როსტმა მოიგერია, მაგრამ კრისტიანსენმა მიუსწრო და გაიტანა. ათკაცა „შალკემ“ გაძლო და მოუგო „ჰანოვერს“, რომლისთვისაც ეს მეორე საშინაო მარცხი გამოდგა.

გასულ ოთხშაბათს საფრანგეთის ნაკრების კარში გოლის გამტანმა სლოვაკმა რობერტ ვიტეკმა „აიწყვიტა“ და „ნიურნბერგმა“ მისი ჰეთ თრიქის წყალობით „დუისბურგი“ დააჩოქა.

დორტმუნდში „ბორუსია“ თავიდან ივებდა, ბოლოს კი მარცხს გადაურჩა, რადგან 1:1-ზე „მაინცის“ ფორვარდმა მოჰამედ ზიდანმა პენალტი ვერ გაიტანა — ბურთი ძელს მოხვდა.

არც ახლა წავა „ჰერტას“ მწვრთნელი ფალკო გიოტეი? ბერლინელები ბოლოადგილოსან „კიოლნთან“ შინ დამარცხდნენ. გავიუტებული გიოტეის გაგდებას ფანები ითხოვენ, კლუბის პატრონი კი მაინც იცავს. კიოლნელმა ლუკაშ პოდოლსკიმ დუბლი შეასრულა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. თავის მხრივ ორი გაიტანა ჰერტელმა მარკო პანტელიჩმა, მაგრამ ბერლინელებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს.

ვაჟა ხუციშვილი

ბომბარდირები

კლოზე (ვერდერი)	17
ჰალილ ალტინთოპი (ბაიერნი)	13
შმოლარეკი (დორტმუნდი)	12
ბალაკი (ბაიერნი)	12
მაკაი (ბაიერნი)	11
კლასნიჩი (ვერდერი)	11
კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი)	11
ბერბატოვი (ლევერკუზენი)	11

ბაიერნი	24	18	4	2	48:19	58
ვერდერი	24	15	5	4	55:26	50
ჰამბურგი	24	15	5	4	37:18	50
შალკე	24	13	9	2	35:18	48
შტუტგარტი	23	7	12	4	26:21	33
გლადბახი	24	8	9	7	30:29	33
ლევერკუზენი	24	8	8	8	41:38	32
ჰანოვერი	24	6	12	6	34:31	30
დორტმუნდი	24	7	9	8	29:29	30
ჰერტა	24	7	9	8	34:35	30
არმინია	24	7	6	11	26:34	27
აინტრახტი	24	7	5	12	31:39	26
ვოლფსბურგი	24	6	8	10	25:40	26
ნიურნბერგი	24	6	6	12	26:37	24
ლაუტერნი	23	6	5	12	33:50	23
მაინცი	24	5	6	13	33:39	21
დუისბურგი	24	4	8	12	23:43	20
კიოლნი	24	4	6	14	32:52	18

XXV ტური

11-12 მარტი

კიოლნი	:	ნიურნბერგი
დუისბურგი	:	ჰანოვერი
შალკე	:	აინტრახტი
ვოლფსბურგი	:	ბაიერნი
ჰაბურგი	:	ლაუტერნი
შტუტგარტი	:	დორტმუნდი
მაინცი	:	გლადბახი
არმინია	:	ლევერკუზენი
ჰერდერი	:	ჰერტა

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

ბურგჰაუზენი — ალენი 1:3; აუე — კოტბუსი 2:2; ბოხუმი — ოფენბახი 0:1; ბრაუნშვაიგი — მიუნხენი 3:3; პადერბორნი — დინამო 0:2. უნტერჰახინგი — ფრაიბურგი, კარლსრუე — ზაარბრიუკენი, ზიგენი — ფიურტი გადაიდო, ალემანია — ჰანზა დღეს გაიმართება

ბოხუმი	24	13	7	4	38:19	46
ალემანია	22	13	3	6	40:23	42
ფრაიბურგი	23	11	5	7	31:25	38
კოტბუსი	23	10	7	6	37:27	37
პადერბორნი	24	10	6	8	35:22	36
ფიურტი	22	10	6	6	35:29	36
კარლსრუე	23	10	6	7	33:29	36
უნტერჰახინგი	23	10	4	9	35:29	34
მიუნხენი	24	8	8	8	34:33	32
ბურგჰაუზენი	24	8	8	8	29:37	32
ჰანზა	22	9	4	9	30:29	31
ბრაუნშვაიგი	22	9	4	9	25:25	31
აუე	24	7	9	8	23:26	30
ოფენბახი	23	7	3	13	23:43	24
დინამო	22	6	5	11	24:32	23
ზიგენი	22	5	5	12	22:31	20
ზაარბრიუკენი	22	5	5	12	22:42	20
ალენი	23	4	7	12	23:38	19

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXVI ტური

ვატენშაიდი — მიუნსტერი 0:2; ქიენი — ჰერტა (მ) 2:0. ზანკტ პაული — ვუპერტალი, კიოლნი (მ) — ლევერკუზენი (მ), ვერდერი (მ) — დიუსელდორფი, კელი — კარლ ცაისი და ჰამბურგი (მ) — ობერჰაუზენი გადაიდო, ერფურტი — ლიუბეკი და ოსნაბრიუკი — ქემნიცი დღეს გაიმართება

სამხრეთ რეგიონალლიგა

XXII ტური

ტრიერი — აუგსბურგი, რეგენსბურგი — კობლენცი, ვეპენი — ელვერსბერგი, აალენი — ჰოფენჰაიმი, პფულენდორფი — კიკერსი, კარლსრუე (მ) — ეშბორნი, ბაიერნი (მ) — დარმშტადტი, შტუტგარტი (მ) — მიუნხენი (მ) და კაიზერსლაუტერნი (მ) — ბაიროითი გადაიდო

ლიონის ბრაზილიელები

ჟუნინიოს გვარი აქვს, შორიდან დარტყმულ-გატანილივით

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIX ტური

აიაჩო 1:3 ლიონი

0:1 ჟუნინიო (61), 0:2 ფრედი (77), 1:2 ვ. პერეირა (83), 1:3 ბენზემა (87)

ლილი 4:0 ლე მანი

1:0 ოდემვინჟი (16), 2:0 ბოდმერი (38პ), 3:0 შმიცი (56), 4:0 მირალასი (75)

მეცი 2:1 მონაკო

0:1 დი ვაიო (37), 1:1 პლასილი (71ს.კ.), 2:1 ტუმი (81)

ნიცა 0:0 ლანსი

რენი 2:1 სტრასბური

1:0 კალსტრიომი (62), 2:0 ბრაიანი (66), 2:1 კანტე (79)

ტულუზი 1:1 ნანსი

0:1 სარქისიანი (67), 1:1 ემანა (74)

პსჟ 0:0 მარსელი

ტრუა 1:1 ოსერი

1:0 ჟ. ბა. (39), 1:1 კალენბერგი (59)

სენტ ეტიენი 1:0 ნანტი

1:0 მაზური (89)

სოშო — ბორდო

გადაიდო

„ლიონს“ ოთხშაბათს პსვ-სთან ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური მატჩი ელის, თანაც ჩემპიონატში დამაჯერებლად ლიდერობს და ფიქრობდნენ, შეიძლება, თავი არ მოიკლასო, მაგრამ ჟერარ ულიეს შეგირდებმა მაინც ჟინიანად ითამაშეს და პირველ ადგილზე უფრო გამყარდნენ. თუმცა არც მეტოქე იყო ძლიერი — „აიაჩო“, რომელიც ამ მარცხით კვლავ ცხრილის ფსკერზე დაეშვა.

არადა, კუნძულელებმა კარგად დაიწყეს და მთელი ერთი საათი მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდნენ. მომენტებიც თანაბრად იქმნებოდა და „ლიონს“ მშველელად ისევ ჟუნინიო პერნამბუკანო მოევლინა. ბრაზილიელმა თავისი საფირმო ჯარიმა ამჯერად თითქმის 40 მეტრიდან შეასრულა და „აიაჩო“ გატეხა. 77-ე წუთზე მისმა თანამემამულე ფრედმა სხვაობა ორამდე გაზარდა, რომელიც 6 წუთში კიდევ ერთმა ბრაზილიელმა პერეირამ შეამცირა, მაგრამ მასპინძლებს იმედი ლიონელთა ახალგაზრდა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ გადაუწურა.

პედრეტი ჟუნინიოს გოლს ულოცავს

„ორი კარგი გუნდის თამაში ვნახეთ. „აიაჩოს“ ქულები სჭირდება და ძალიან მონდომებული იყო, თუმცა კლასის ხარჯზე მოგება მაინც შევძელით და პსვ-სთან მატჩს კარგი განწყობით ვხვდებით“ — თქვა ულიემ.

წინ მიიწევს „ლილი“. კლოდ პუელის გუნდი მესამე საფეხურს მძლავრად ჩაებღაუჭა და მის წინ მყოფ „ბორდოს“ უკვე 3 ქულითღა ჩამორჩება, მაგრამ თამაშით მეტი აქვს („სოშო“ — „ბორდო“ დიდთოვლობის გამო გადაიდო). ლილელებმა მოულოდნელად გაანადგურეს „ლე მანი“, რომელიც ბოლო დროს ჩინებულად თამაშობდა და ხუთეულსაც მიუახლოვდა.

მე-16 წუთზე ჯეფრი დერნისმა ჩინებულად ჩააწოდა პეტერ ოდემვინჟს, რომელმაც კოხტა თავურით გახსნა ანგარიში. იმავე ოდემვინჟის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მეტიუ ბოდმერმა აქცია გოლად. მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ ორჯერ შეაგდეს, ჯერ რაფაელ შმიცმა მშვენიერი საჯარიმოთი, ხოლო ბოლოს კევინ მირალასმა ასევე ეფექტური დარტყმით.

სულ უკან-უკან მიდის „მონაკო“, რომელმაც ბოლო ადგილზე მყოფ „მეცთან“ წაგება „მოახერხა“. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წინა ტურში მეცელებმა სტუმრად „ბორდოს“, რომელიც ძალიან ცოტა გოლს უშვებს, სამჯერ გაუტანეს, უგებდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ოდენ ქულა შერჩათ. როგორც ჩანს, ჟოელ მიულერის გუნდი ნელ-ნელა გონს მოდის, მაგრამ მოასწრებს თუ ვერა გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევას, ჯერ კიდევ სათუოა.

